852/2 N 11793 VIII–XII

სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | სამშაბათი, 3 აგვისტო | 1993 № 1 (48) | ფასი 70 კუპონი

„სარბიელი“
ოცი თვის შემდეგ
დაუბრუნდა მკითხველს!

ამ ხნის მანძილზე ჩვენში არაერთი ეპოქური მნიშვნელობის მოვლენა მოხდა. ბევრი რამ შეიცვალა. უცვლელი დარჩა საქართველოს უმძიმესი პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა. შესაძლოა — დამძიმდა კიდეც.

იქნებ ერთგვარად სიმბოლურიც კი იყოს, რომ სწორედ ახლა, უკიდურესი ძნელბედობის ჟამს მოხერხდა ის, რასაც ჩვენი რედაქცია ერთსულოვნად ეს წრაფოდა გაზეთის იძულებითი ტაიმ-აუტის პირველი დღიდანვე — „სარბიელის“ აღდგენა!

დღეს „სარბიელის“ მეორედ დაბადების დღეა. ასეთ შემთხვევებში მიღებული პომპეზურობისგან თავს შევიკავებთ. უბრალოდ, მივესალმებით მკითხველს, [illegible]ძელიც ხანმოკლე [illegible]სებობის მანძილზე „სარბიელმა“ მრავლად [illegible]ეიძინა და გაგაგრძელებთ [illegible]ცი თვის წინ შეწყვეტილი [illegible]ქმის კეთებას.

[illegible]აშ ასე, „სარბიელი“ [illegible]ბრუნდა მკითხველს! [illegible]ედია, მკითხველიც [illegible]ბრუნდება „სარბიელს“!

გიორგი ქინქლაძე

ზურაბ ბენაშვილი

1992-93 სეზონის საქართველოს
საუკეთესო ფეხბურთელი

18 აგვისტოს, როცა თბილისის „დინამო“ პირველად გამოვა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში თავისი ქვეყნის სახელით, გიორგი ქინქლაძეს „სარბიელის“ მიერ საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებული პრიზი გადაეცემა. გიორგიმ ბრწყინვალედ ჩაატარა ეს სეზონი და ჩვენს გამოკითხვაში დამაჯერებლად გაიმარჯვა. „ლინფილდის“ წინააღმდეგ ითამაშებს ხუთი ფეხბურთელი, რომელთაც ამ გამოკითხვაში პირველი ხუთი ადგილი დაიკავეს. აღსანიშნავია, რომ „დინამოს“ მთელი ძირითადი შემადგენლობა — 11 კაცია დასახელებული საკონკურსო სიაში. ჩრდილოირლანდიელებს მართლაც რომ საუკეთესო ქართველი ფეხბურთელები ეთამაშებიან. გამოკითხვის შედეგები და ინტერვიუ საუკეთესო ფეხბურთელთან — მეორე-მესამე გვერდებზე.

საქართველოს კალათბურთის
ეროვნული ლიგა

მიუხედავად ქვეყანაში დღეს შექმნილი მძიმე მდგომარეობისა, ქართული სპორტი მაინც არსებობს და მასში სასიკეთო ძვრებიც შეიმჩნევა. ამ მხრივ არც კალათბურთია გამონაკლისი, თუმცა კი მიზეზთა გამო ჩვენი ხუთი გუნდი ევროპის საკლუბო ტურნირებს მიღმა დარჩა. ალბათ დამეთანხმებით, რომ შარშანდელმა ეროვნულმა ჩემპიონატმა გაცილებით დაძაბულად და საინტერესოდ ჩაიარა ვიდრე წინამ, მაგრამ შეიმჩნეოდა ისიც, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაცია, პირდაპირ რომ ვთქვათ, ვერ აუდიოდა საკმარისზე მეტად დაგროვილი პრობლემების გადაჭრას. რაღა თქმა უნდა, უპირველესი პრობლემა დღეს ქართულ სპორტში (და კერძოდ კალათბურთშიც) ფინანსური სიდუხჭირეა. ამის გადასაჭრელად უნდა შეიქმნას ფინანსურად ძლიერი, სრულიად დამოუკიდებელი ლიგა, რომელიც თვითონ შეინახავს თავს. სწორედ ეს იდეა მიაწოდეს კალათბურთის ფედერაციას სპორტკლუბ „ვითას“ ვიცე-პრეზიდენტმა, ყოფილმა კალათბურთელმა თემურ დათიკაშვილმა და გაზეთ „ყველა ვარსკვლავის“ რედაქციამ. უკვე ჩატარდა რამდენიმე სპეციალური სხდომა, რომელსაც უმაღლესი ლიგის თითქმის ყველა გუნდის წარმომადგენელი ესწრებოდა. ახალი ლიგის შექმნის იდეას, როგორც მოსალოდნელი იყო, უმრავლესობამ დაუჭირა მხარი, თუმცა სასტიკი მოწინააღმდეგეებიც იყვნენ.

გაგაცნობთ საქართველოს კალათბურთის ეროვნული ლიგის ძირითად პრინციპებს. უპირველეს ყოვლისა, ლიგა შეუმსუბუქებს კალათბურთის ფედერაციას მუშაობას, რაც გამოიხატება ფუნქციების განაწილებაში. ლიგა თავის თავზე იღებს ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარებას და საქართველოს თასის გათამაშების მოწყობას (ეს ტურნირი საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა); ჩაატარებს კომერციულ ტურნირებს (უკვე დაგეგმილია აფხაზეთში დაღუპული კალათბურთელის იური ძიძიგურის სახელობის ტურნირი); შეძლებისდაგვარად დაეხმარება ბავშვთა კალათბურთს; შეიქმნება ეროვნული ნაკრები, რომელსაც ლიგა დააფინანსებს.

ბუნებრივია, მკითხველს დაებადება კითხვა თუ რა სახსრებით შეიძლება ზემოთ ჩამოთვლილის განხორციელება. ლიგა არსებობას დაიწყებს გუნდების მიერ შემოტანილი სახსრების საშუალებით. აქ შეიქმნება სპეციალური კომერციული სამსახური, რომელიც გამოიყენებს ამ თანხებს, გაზრდის მათ და ისევ გუნდების კეთილდღეობას მოახმარს. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ზედაპირული ახსნაა — კომერციული სამსახურის მოღვაწეობის დაწვრილებითი მოყოლა დიდ დროს წაიღებს.

ახლა კი ზოგი დაინტერესებული პირის აზრს გაგაცნობთ:

თამაზ ოჭრუაშვილი („მართვე“): „ყველამ იცის, რომ ფედერაცია დამოუკიდებელი არ არის. ამის მიზეზია მისი მატერიალური სისუსტე — აშკარაა ფინანსურ კატასტროფა. სწორედ ამიტომ, ორივე ხელით მხარს ვუჭერ ფინანსურად ძლიერი, სრულიად დამოუკიდებელი ლიგის შექმნას.“

გურამ მინაშვილი (სტუ): „ლიგის შექმნა ნაადრევად მიმაჩნია. საჭიროა დავიცადოთ, სანამ უკეთესი ცხოვრება მოვა.“

ჯამლეთ ხუხაშვილი (ტელეჟურნალისტი): „თუ მაყურებელი დაინახავს, რომ ერთი გუნდი იოლად ჩაგრავს მეტოქეს, მას ინტერესი დაეკარგება. ამიტომ დღეს ჩვენ პირველ რიგში სათამაშო დონის ამაღლებას უნდა მივხედოთ, ხოლო ლიგა, რომელიც უნდა შეიქმნას, სწორედ გუნდების დონის გათანაბრებას ემსახურება.“

საქართველოს ეროვნული ლიგის შექმნას მხარს უჭერენ: თბილისის „ჯიქი“ (მწვრთნელი ვაჟა ჭკუასელი), რუსთავის „აზოტი“ (ოთარ ხმალაძე), თბილისის „მერანი“ (ზურაბ ბარბაქაძე), თბილისის საზელმწიფო უნივერსიტეტი (ნუგზარ მარკოშვილი), „სოხუმი-91“ (ვალერი ჯგერენაია). საკითხი შეთანხმებულია ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ როლანდ ხომერიკთან, ცნობილ არბიტრებთან გიორგი ავალიშვილთან, მურმან ქურიძესთან და როლანდ გელოვანთან. ასე, რომ საქმის მოგვარება დროის ამბავია.

დიმიტრი ობოლაძე,
გაზეთი „ყველა ვარსკვლავი“,
სპეციალურად „სარბიელისთვის“

8 „ლომები“ ეკვატორს ქვემოთ

დრონი იცვალნენ

7 „უილიამსს“ ვეღარავინ დაეწევა

პროსტმა საქმე მოითავა

„სარბიელის“ გამოკითხვა



გია ახალაძე

დაიბადა 1973 წლის 6 ივლისს
სიმაღლე — 174 სმ, წონა — 65 კგ.
პირველი მწვრთნელი — ოთარ გეგეჭკორი

სპორტული გზა —
1990 „მრეტები“ (II ჯგუფი, 30 მატჩი, 9 გოლი)
1991 „მრეტები“ (I ჯგუფი, 16 მატჩი)
1991-92 „მრეტები“ (უმაღლესი ჯგუფი, 30 მატჩი, 9 გოლი)
1992-93 „დინამო“ (უმაღლესი ჯგუფი, 30 მატჩი, 18 გოლი)

საქართველოს 1993 წლის ჩემპიონი და თასის მფლობელი
საქართველოს ნაკრებში — 1 მატჩი (აზერბაიჯანი — 6:3)
უცოლშვილო

გამოკითხვის შედეგები

1	გიორგი ქინქლაძე	„დინამო“	128	16	15	3
2	რეზო არველაძე	„დინამო“	97	12	11	4
3	შოთა არველაძე	„დინამო“	92	13	7	6
4	მურთაზ შელია	„დინამო“	33	4	3	4
5	არჩილ არველაძე	„დინამო“	14	1	2	3
6	დავით ყიზილაშვილი	„შევარდენი“	11	1	1	3
7	გიორგი ნემსაძე	„შევარდენი“	9	1	1	1
8	გიორგი დარასელია	„ტორპედო“	8	1	0	3
9	გოჩა გუჯაბიძე	„ალაზანი“	7	0	2	1
10	დიმიტრი კუდინოვი	„დინამო“	6	1	0	1
	შურაბ მეგრელაძე	„სამგურალი“	6	0	1	3
	მიხეილ ყაველაშვილი	„დინამო“	6	0	1	3
	[illegible] კორღალიძე	„ალაზანი“	6	0	1	3
14	[illegible] ცომაია	„ალაზანი“	3	0	1	0
	გიორგი ანჩაბაძე	„დინამო“	3	0	1	0
	აკაკი დევაძე	„შევარდენი“	3	0	1	0
	მიხეილ ჯიშკარიანი	„ცხუმი“	3	0	1	0
	გელა ინალიშვილი	„დინამო“	3	0	0	3
	ლევან ხომერიკი	„ბათუმი“	3	0	0	3
20	გოჩა ჯამარაული	„დინამო“	1	0	0	1
	მალხაზ მახარაძე	„ბათუმი“	1	0	0	1
	ირაკლი ზოიძე	„დინამო“	1	0	0	1
	ნუგზარ ლობჟანიძე	„გორდა“	1	0	0	1

ფეხბურთელის სახელისა და გუნდის შემდეგ ცხრილში მოყვანილია მის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი, აგრეთვე პირველი, მეორე და მესამე ადგილების რაოდენობა.
I ადგილი — 5 ქულა; II — 3; III — 1

გიორგი ქინქლაძე

საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი

საუკეთესო ფეხბურთელს ყველა ქვეყანაში ასახელებენ. ასახელებენ ჟურნალისტები, მწვრთნელები, გულშემატკივრები და თავად ფეხბურთელებიც კი. შეიძლება ვინმემ გაუმართლებელ პრეტენზიულობაში ჩაგვითვალოს ის, რომ აღდგენილი „სარბიელის“ პირველივე ნომერში ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი დავასახელეთ. შეიძლებოდა მეორე ნომერში გვეთქვა ეს ამბავი ან მთლად მესამეშიც. ეს სიტუაციას არ ცვლის — საქართველოს უნდა ჰყავდეს საუკეთესო ფეხბურთელი. რაც შეეხება „სარბიელს“, ჩვენი გამოკითხვა ყოველწლიური იქნება.

1990 წელს ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი ფეხბურთის ფედერაციამ დაასახელა — თემურ ქეცბაია. 1991-92 სეზონში მიშა ჯიშკარიანმა გაიმარჯვა „ქართული ფეხბურთის“ კონკურსში. ამჯერად ჩვენს გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს ჟურნალისტებმა და მწვრთნელებმა. კონკურსში მხოლოდ ის ჟურნალისტები იღებდნენ მონაწილეობას, ვინც პრესაში, რადიოსა თუ ტელევიზიაში მთელი ჩემპიონატის მანძილზე რეგულარულად აშუქებდა ფეხბურთს. რაც შეეხება მწვრთნელებს (უმაღლესი ჯგუფის მწვრთნელები და ალექსანდრე ჩივაძე ეროვნული ნაკრებიდან), ვფიქრობთ, მათი აზრი არავისთვის უნდა იყოს საკამათო.

სულ გამოკითხულია 50 კაცი, უფრო ზუსტად კი 49 მამაკაცი და ერთი ქალიშვილი. გიორგი ქინქლაძემ დამაჯერებლად მოიპოვა პირველობა — სხვაობამ მეორე ადგილზე გასულ რეზო არველაძესთან 31 ქულა შეადგინა. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოვახერხეთ ოთხი მწვრთნელის გამოკითხვა („შევარდენის“ მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ რეფერენდუმში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. აქვე აღვნიშნავთ, რომ გივი ნოდიამ მხოლოდ ერთი საუკეთესო დაგვისახელა, ვაჟა ჩხაიძემ კი — პირველი და მეორე ნომრები), თუმცა ოთხივეს რომ პირველ ნომრად რეზო დაესახელებინათ, გამარჯვებული მაინც არ იცვლებოდა. აი, შოთა არველაძეს კი შანსი ჰქონდა უფროსი ძმისთვის გაესწრო, ვინაიდან იგი დიდი პოპულარობით სარგებლობს მწვრთნელებში — ამ პროფესიის 15 წარმომადგენლიდან შვიდმა შოთა პირველ ადგილზე გაიყვანა (ქინქლაძე მხოლოდ ოთხმა), თუმცა მთლიანად მწვრთნელთა კონკურსში მაინც ქინქლაძემ იმარჯვა.

საინტერესოა წლევანდელი გამოკითხვის შედეგების შედარება შარშან გაზეთ „ქართული ფეხბურთის“ მიერ ჩატარებულ ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგებთან. შოთა არველაძემ მაშინაც მესამე ადგილი დაიკავა. ძველ პოზიციაზე დარჩა მურთაზ შელიაც, რომელიც მწვრთნელთაგან მხოლოდ ნაკრების ყოფილმა ხელმძღვანელმა ნორაკიძემ დაასახელა პირველ ნომრად. შარშანდელ გამარჯვებულ მიშა ჯიშკარიანს წლეულს მხოლოდ 3 ქულა აქვს, წლევანდელ გამარჯვებულს კი წინა გამოკითხვაში მხოლოდ ერთი ქულა ჰქონდა აქტივში. ერთი წლის წინ ჩემპიონი გუნდის 7 წარმომადგენელი ფიგურირებდა საბოლოო სიაში, წლეულს კი — 11 (!) ანუ მთელი ძირითადი შემადგენლობა. სულ დასახელებულია რვა კლუბის 23 ფეხბურთელი. შემდეგ მოდიან: „ალაზანი“, „შევარდენი“ — 3-3 ფეხბურთელი, „ბათუმი“ — 2, „ტორპედო“, „სამგურალი“, „ცხუმი“, „გორდა“ — 1-1.

საინტერესოა, რომ 50 გამოკითხულიდან მხოლოდ ორმა შეძლო საბოლოო სამეულის „გამოცნობა“: ჩვენმა კოლეგებმა — არმაზ მეტრეველმა და რამინ ყურაშვილმა.

რაც შეეხება წლევანდელ ლაურეატს, როგორც ველოდით, გამარჯვებული გამოვლინდა „დიდი სამეულიდან“ (ქინქლაძე, რეზო არველაძე, შოთა არველაძე). სამწუხაროდ არ შეიძლება ქვეყანაში სამი საუკეთესო ფეხბურთელი გყავდეს, თორემ სამივეზე ალალი იქნებოდა საუკეთესო ჟოთამაშის პრიზი. სპეციალურ ჯილდოს, ალბათ, არველაძეთა ოჯახიც იმსახურებს — საკონკურსო 450 ქულიდან 203 მათია.

გიორგი ქინქლაძემ ნაბიჯ-ნაბიჯ გაიარა გზა მწვერვალისკენ — მეორე ჯგუფი, პირველი ჯგუფი, უმაღლესი ჯგუფი „მრეტების“ შემადგენლობაში, შემდეგ თბილისის „დინამო“ და საქართველოს ჩემპიონის ტიტული. 20 წლის ფეხბურთელმა მოხიბლა არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი ფეხბურთის სპეციალისტებიც. მისი მიწვევა რამდენიმე სახელგანთქმულ კლუბს სურდა (მარტო „ბარსელონა“ რად ღირს!). ასე რომ, საქართველოს ფეხბურთს ღირსეული რჩეული ჰყავს.

ლამაზი პრიზის გარდა ქინქლაძე მომავალი წლის განმავლობაში უფასოდ მიიღებს გაზეთ „სარბიელს“.

როდესაც გიორგის გამოკითხვაში გამარჯვების ამბავი გავანდეთ, უზომოდ გახარებულმა და აღტაცებულმა პირველად ის გვკითხა, თუ რამდენად ობიექტურ პაექრობაში მოიპოვა იგი. ჩვენი არგუმენტებით კმაყოფილი გიორგი ინტერვიუსთვის მოემზადა.

— გიორგი, ელოდი, რომ საუკეთესო შოთამაშედ დაგასახელებდნენ?

— არა, ნამდვილად არ ველოდი.

— შენ რომ მიგეღო კონკურსში მონაწილეობა, როგორ სამეულს აირჩევდი?

— რეზო არველაძე, შოთა არველაძე, არჩილ არველაძე.

— რა მოგიტანა 1992-93 წლების სეზონმა?

— თვითდაჯერებულობა. თავიდან „დინამოში“ რაღაცნაირად შებოჭილი ვიყავი.

— როდესაც 1990 წელს „მრეტებში“ მიხვედი, იფიქრებდი, რომ სამიოდე წელიწადში საქართველოს საუკეთესო მოთამაშე გახდებოდი?

— მაგას ვერასოდეს ვიფიქრებდი.

— ვის უმადლი ამ დიდ წარმატებას?

— მამაჩემს, ჩემს მწვრთნელებს და ჟურნალისტებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ჩემს წარმატებებში. ძალიან გამიხარდება, თუ „ლინფილდთან“ განმეორებით თამაშს ქართველი ჟურნალისტებიც დაესწრებიან.

— როგორ ემზადები „ლინფილდთან“ ორთაბრძოლისთვის?

— როგორც არასდროს, მეც დამთელი გუნდიც. პირადად ჩემთვის ეს ისტორიული თამაშია.

— ხომ არ გეშინია „ლინფილდის“?

— არ მეშინია, მაგრამ მთელი სერიოზულობით უნდა მივუდგეთ. განსაკუთრებით საშიშნი არიან მეორე სართულზე, თანაც სულ გამოცდილი მოთამაშეები ჰყავთ.

— რა ვითარებაში შეიტყვეთ ჩემპიონთა თასზე „დინამოს“ დაშვება?

— საფრანგეთში სასტუმროს ნომერში ვისხედით და „დურაკას“ ვთამაშობდით. ყველაშვილი გარეთ იყო. ამ დროს შემოსულა სასტუმროს ეზოში ჩვენი კლუბის წარმომადგენელი გერმანიაში და ცერა თითი ასწია. ყველა და ჯემალ ჩიმაკაძე ტირილით შემოვარდნენ. იმ წუთას მთელმა გუნდმა დაკარგა ჭკუა, შეშლილებივით ვახტებოდით ერთმანეთს, ჰაერში ვისროდით გივი ნოდიას, ვაჟა ჟვანიას, რომელიც იმასღა გაიძახოდა — ჩემი ლევანის დაბადება არ გამხარებია ასეო.

— ჩემპიონთა თასზე რომ არ დაეშვით, დარჩებოდი საქართველოში?

— კლუბის ნებართვა მქონდა, რომ ასეთ შემთხვევაში საზღვარგარეთ წავსულიყავი.

— ის კლუბები ჩამოთვალე რომლებიც გეპატიჟებოდნენ.

— „ანორთოსისი“, გ.ჟ.ს., „კაიზერსლაუტერნი“, „ბარსელონა“, „გალათასარაი“, „ლე ავრი“, ლევერკუზენის „ბაიერი“.

— რამდენადაც ვიცით, „ლე ავრის“ პრეზიდენტი მზად იყო ყოველგვარ პირობებზე ნამოსულიყო.

— „ლე ავრის“ შემადგენლობაში ორმხრივ თამაშში ოთხი გოლი შევაგდე. მათი პრეზიდენტი ჟან-პიერ იურო პირდაპირ საშხაპეში შემოვიდა და კონტრაქტზე ხელის მოწერას მთხოვდა. მე ვუთხარი, ჯერ თბილისში უნდა ვითამაშო 80 ათასი გულშემატკივრის თვალწინ-მეთქი.

— მაყურებლის ფაქტორი როგორ მოქმედებს შენზე?

— ადრე მოქმედებდა, ახლა არავითარ ყურადღებას არ ვაქცევ, მაგრამ სავსე სტადიონის წინაშე სასიამოვნოა თამაში. ჩემპიონთა თასზე ბევრი წალხი მოვა, არა?

— უნდა მოვიდეს. ისევე ჩამოვლენ ალბათ სხვადასხვა ქალაქებიდან გულშემატკივრები „დინამოს“ საქომაგოდ.

— თბილისში მინდა თამაში, გერმანიაში თუ სხვა ქვეყნებში, რომლებიც უეფას უარის შემთხვევაში თავიანთ სტადიონებს გვთავაზობდნენ, გული არ მიმდიოდა, მიხედავად იმისა, რომ გასამრჯელოსაც გვთავაზობდნენ.

— რომელი კლუბის მენეჯერმა გინდა რომ დაგირეკოს?

— „ბარსელონა“ ის კლუბია, სადაც ვოცნებობ ვითამაშო, იმიტომ რომ იქ მწვრთნელად ჩემი კერპი კრუიფია, ერთ დროს იქ მარადონა თამაშობდა, ახლა — მიქაელ ლაუდრუპი და ხრისტო სტოიჩკოვი.

ესპანეთში ჩვენი ნაკრების ამასწინანდელი ტურნეს დროს მოთამაშეებს სოლიდური გასამრჯელო მოგვცეს. თითქმის ყველა ფეხბურთელმა იყიდა მაისური-სუვენირი, რომელსაც ზურგზე რომელიმე მოთამაშის გვარი და ნომერი ამშვენებს. ტყუპებმა „მილანის“ შავწითელი მაისურები შეიძინეს მე-9 ნომრით და ვან ბასტენის გვარით. მე „ბარსელონის“ ფორმის მთელი კომპლექტი ვიყიდე, მიუხედავად იმისა, რომ 90 დოლარი ღირდა. ახლაც ვარჯიშებზე მუდამ ამ ფორმით გამოვდივარ. სხვათა შორის ჩემი პირველი მასწავლებელი ოთარ გეგეჭკორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლამაზ ფორმას, მას მერე შევეჩვიე და ვერ ვიტან ამოჩაჩულ მაისურს თუ მოშვებულ გეტრებს.

— წლეულსვე რომ გამოეთიშოთ ჩემპიონთა თასის გათამაშებას, დარჩები „დინამოში“?

— ეს სეზონი ბოლომდე საქართველოში მინდა ვითამაშო.

ზურაბ მეძველია,
მამუკა კვარაცხელია

გამოკითხვის ანკეტა

ჟურნალისტები:

მიხეილ აბაიშვილი („დრონი“) —	რ. არველაძე	ქინქლაძე	შ. არველაძე
გია ახალაძე („სარბიელი“) —	შ. არველაძე	რ. არველაძე	შელია
ილია ბაბუნაშვილი („გოლი“) —	რ. არველაძე	შელია	დარასელია
დათო ბერიაშვილი („ქართული ფეხბურთი“) —	ა. არველაძე	ქინქლაძე	ჯამარაული
ვახტანგ ბზიკაძე („ბურთი და მოედანი“) —	ქინქლაძე	რ.არველაძე	მეგრელაძე
ვლადიმერ გოლოვინი („საქინფორმი“) —	რ. არველაძე	ქინქლაძე	შ. არველაძე
სოლომონ გულისაშვილი („რეზონანსი“) —	ქინქლაძე	რ. არველაძე	გუჯაბიძე
დავით დავითაშვილი („სოვეტსკი სპორტი“) —	ქინქლაძე	რ. არველაძე	ხომერიკი
ზვიად თედოზაშვილი („7 დღე“) —	ყიზილაშვილი	დევაძე	ა. არველაძე
გია თვალაბეიშვილი („ქართული ფეხბურთი“) —	რ. არველაძე	ანჩაბაძე	ლობჟანიძე
მამუკა კვარაცხელია („სარბიელი“) —	რ. არველაძე	ქინქლაძე	შ. არველაძე
ივიკო მახარაძე (რადიო) —	რ. არველაძე	გუჯაბიძე	ზოიძე
გელა მეგრელიშვილი (გურჯაანის ტელევიზია) —	ქინქლაძე	შ. არველაძე	კორღალიძე
არმაზ მეტრეველი (ტელევიზია, I არხი) —	ქინქლაძე	რ. არველაძე	შ. არველაძე
ზურაბ მეძველია („სარბიელი“) —	შელია	რ. არველაძე	ქინქლაძე
დიმიტრი მჭედლიძე („სვობოდნაია გრუზია“) —	შ. არველაძე	ქინქლაძე	ხომერიკი
ვლადიმერ ნიკოლაიშვილი (რადიო) —	რ. არველაძე	ქინქლაძე	ყაველაშვილი
თენგიზ პაჭკორია (რადიო, „სვობ. გრუზია“) —	შ. არველაძე	ქინქლაძე	ხომერიკი
გია პლატონიშვილი („საქ. რესპუბლიკა“) —	ქინქლაძე	ნემსაძე	რ. არველაძე
მერაბ რატიშვილი („დრონი“) —	შ. არველაძე	რ. არველაძე	შელია
ვალერი ტორონჯაძე (რადიო) —	ქინქლაძე	შ. არველაძე	ინალიშვილი
გია ტუხაშვილი („ახალგაზრდა ივერიელი“) —	ქინქლაძე	ყაველაშვილი	რ. არველაძე
შალვა ქირია („თბილისი“) —	რ. არველაძე	ქინქლაძე	ყიზილაშვილი
დელმარ ქურიძე („ივერია ექსპრესი“) —	რ. არველაძე	ცომაია	კორღალიძე
რამინ ყურაშვილი („მიმომხილველი“) —	ქინქლაძე	რ. არველაძე	შ. არველაძე
რევაზ შენგელია („სარბიელი“) —	შელია	შ. არველაძე	ინალიშვილი
რამაზ ჩხიკვაძე („ბურთი და მოედანი“) —	ქინქლაძე	მეგრელაძე	რ. არველაძე
მამუკა ჩიხლაძე („გოლი“) —	დარასელია	შელია	კუდინოვი
ჯემალ ჭიპაშვილი („ლელო“) —	რ. არველაძე	ქინქლაძე	ნემსაძე
ჯამლეთ ხუხაშვილი (ტელევიზია, I არხი) —	შ. არველაძე	შელია	ყიზილაშვილი
ელგუჯა ჯანელიძე („სარბიელი“, ქუთაისი) —	კუდინოვი	მ. ჯიშკარიანი	დარასელია
თემურ ჯაფარიძე (ტელევიზია, I არხი) —	ქინქლაძე	შ. არველაძე	ა. არველაძე
ალექსანდრე ჯიბლაძე („ქართული ფეხბურთი“) —	რ. არველაძე	გუჯაბიძე	შ. არველაძე
თამუნა ჯიშკარიანი (ტელევიზია, II არხი) —	ქინქლაძე	შ. არველაძე	ინალიშვილი
ნუგზარ ჯუღელი (ტელევიზია, I არხი) —	შელია	შ. არველაძე	მ. მახარაძე

მწვრთნელები:

ნიკა ამირეჯიბი („ცხუმი“) —	ნემსაძე	რ. არველაძე	ყაველაშვილი
ოთარ გაბელია („ალაზანი“) —	შ. არველაძე	ქინქლაძე	კორღალიძე
ვლადიმერ თუთბერიძე („ოდიში“) —	ქინქლაძე	ყიზილაშვილი	შელია
თემურ მახარაძე („კახეთი“) —	შ. არველაძე	ქინქლაძე	ა. არველაძე
გივი ნოდია („გორდა“, „დინამო“) —	რ. არველაძე	—	—
გიგა ნორაკიძე („ტორპედო“) —	შელია	ქინქლაძე	ყაველაშვილი
სოსო ფილია („კოლხეთი“ 1913) —	შ. არველაძე	ქინქლაძე	დარასელია
სოსო ფრუიძე („სამგურალი“, „მარგვეთი“) —	ქინქლაძე	რ. არველაძე	მეგრელაძე
გურამ ქოჩიაშვილი („გორდა“) —	ქინქლაძე	შ. არველაძე	ყიზილაშვილი
ალექსანდრე ჩივაძე (ეროვნული ნაკრები) —	შ. არველაძე	ქინქლაძე	რ. არველაძე
ვაჟა ჩხაიძე („მრეტები“) —	ქინქლაძე	რ. არველაძე	—
რევაზ ძოძუაშვილი („დინამო“) —	შ. არველაძე	ქინქლაძე	შელია
შოთა ჭეიშვილი („ბათუმი“) —	შ. არველაძე	ა. არველაძე	ქინქლაძე
ჯონი ჯანელიძე („მარგვეთი“) —	შ. არველაძე	კორღალიძე	მეგრელაძე

სამი გამოკითხვის სამი გამარჯვებული



თემურ ქეცბაია
1990

მიხეილ ჯიშკარიანი
1991-92

გიორგი ქინქლაძე
1992-93

ძველი მორაგბის საჩუქარი

როდესაც რედაქციაში გადავწყვიტეთ, გამოგვევლინა მეოთხე ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი, რა თქმა უნდა, მყისვე წამოიჭრა პრობლემა — ვის უნდა შეექმნა პრიზი, ან როგორი უნდა ყოფილიყო იგი. სრულიად შემთხვევით ჩემი ნააზრევი „კიჭების" მამას, იუსტინე არველაძეს გავანდე. ბატონმა იუსტინემ თავისი მეგობარი, მოქანდაკე გია ჯაფარიძე მიგვასწავლა და რადგან ბატონი გიას შემოქმედებას ასე თუ ისე მეც ვიცნობდი, სიამოვნებით დავთანხმდი მისთვის მიგვენდო პრიზის დამზადება. მოქანდაკესთან ყოველდღიურ ურთიერთობაში მივხვდი, რომ გია ჯაფარიძე ჭეშმარიტი თბილისელი, ნაღდი ქართველი ვაჟკაცია. მალე მისი ნამუშევრების თავგადაკლული მნახველი გავხდი. ამასობაში კი ნელ-ნელა იძერწებოდა, იბადებოდა საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი. ტექნოლოგიურ პროცესებსაც თავიდან ბოლომდე ვუყურე და ცოტაღა დარჩა, ჩემი პროფესია არ მივატოვე, იმდენად მომხიბლა ხელოვანის მუშაობამ.



გია ჯაფარიძე. მხატვარი-მოქანდაკე, 48 წლის. ჰყავს სამი ქალიშვილი და ერთი შვილიშვილი. 1962-68 წლებში სწავლობდა სამხატვრო აკადემიაში. 1969-72 წლებში ასპირანტურაში. შექმნილი აქვს იტალიაში ლაგო-მაჯორეს ტბის ნაპირზე ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა მემორიალი, მოსკოვის ოლიმპიადისათვის საცხენოსნო კომპლექსში — კომპოზიცია „რაშები“, კუნძულ ტექსელზე ნოდარ ქვათელაძესთან ერთად — ქანდაკება „მშვიდობა ბავშვებს“, ატლანტაში, სვენ გარდენში — კომპოზიცია „მშვიდობის ხე“, საფრანგეთში მარი ბროსეს საფლავის ქვა, ნოვოროსიისკში, ზურა საყვარელიძესთან ერთად — ქანდაკება „პოსეიდონი“. ჰქონდა უამრავი პერსონალური გამოფენა, მათ შორის ორი — 1992 წელს — შვეიცარიაში.

— ბატონო გია, რამდენადაც ვიცი, სტუდენტობის წლებში საკმაოდ ცნობილი მორაგბე ბრძანდებოდით.

— 1965-75 წლებში თბილისის „ლოკომოტივის“ მორაგბეთა გუნდში ვთამაშობდი ვახო ფეტვიაშვილის, გივი აფხაიძის, გოგი ტონიას, ზაურ მგელაძის, ირაკლი კიზირიას, ნოდარ ყიფიანის, თენგიზ რუხაძის, გურამ მოდებაძის და სხვათა გვერდით. საქართველოსა და სსრკ „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე არაერთხელ გაგვიმარჯვია. სხვათა შორის აკადემიაში ჩემი სადიპლომო ნაშრომიც სპორტს ეძღვნებოდა — უროს მტყორცნელი. მენატურე ცნობილი მორაგბე, ცხონებული დათო დავითაია იყო — პირველი ქართველი სპორტის ოსტატი რაგბში.

— ახლა გასაგებია, რატომ დათანხმდით ჩვენს წინადადებას, შეგვექმნათ საქართველოს საუკეთესო მოთამაშის პრიზი. რა იდეა ჩაქსოვილი ამ ფეხბურთელის ფიგურაში?

— გადავწყვიტე ბრინჯაოს ეს ფიგურა მაღალი კლასის ფეხბურთელივით გამომეძერწა. როდესაც დიდი ფეხბურთელი ფეხს მოიქნევს, მაყურებელი ვერ უნდა მიხვდეს — დაარტყამს, პასს მისცემს თუ ფინტს გააკეთებს. ეს ფიგურაც ასეა, შეხედეთ და მითხარით, რას აპირებს ეს ფეხბურთელი?

— ფიგურა ერთ-ერთ ქართველ ფეხბურთელს მიჰამსგავსე. თქვენ ვინმე კონკრეტულ ფეხბურთელი აიღეთ ნატურად თუ თქვენი ფანტაზიაა?

— მე სიმბოლურად მამა-შვილი მესხები ამოვარჩიე. რამდენად ჰგავს, თქვენთვის მომინდვია.

— თქვენ რომ ჟურნალისტი იყოთ, ვის მიანიჭებდით 1992-93 წლების სეზონში ამ პრიზს?

— უყოყმანოდ რეზო არველაძეს, თუმცა, რა თქმა უნდა, ალალი იყოს, ვინც მას მოიპოვებს.

— პრიზი 18 აგვისტოს გადაეცემა საუკეთესო მოთამაშეს. თქვენი აზრით, რისი იმედი უნდა გვქონდეს „ლინფილდთან“?

— დებიუტი ყოველთვის ძნელია. ზედმეტ პრეტენზიებს ნუ წავუყენებთ ჩვენს ბიჭებს. მთავარი აქ ფსიქოლოგიური ფაქტორი იქნება. ჩვენთვის, გულშემატკივრებისთვის კი ეს ისეთი სტიმული იქნება, ადვილად რომ გადაგვატანინებს დღევანდელ სიდუხჭირეს.

მამუკა კვარაცხელია

P.S. რაგბი ვაჟკაცური სპორტია, მორაგბეები კი რაინდები რომ არიან, არაერთხელ დაუმტკიცებიათ. ჭეშმარიტად რაინდული ჟესტი გააკეთა გია ჯაფარიძემ: მან უსასყიდლოდ გადმოგვცა საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი ბრინჯაოს ფიგურა, რომელიც მალე ქინქლაძეებისას დაიდებს ბინას.

მეხუთე ეროვნული ჩემპიონატის კალენდარი. პირველი ჯგუფი

აღმოსავლეთი

პირველი წრე

I ტური
8 აგვისტო, კვირა
დინამო — მარგვეთი
შევარდენი 1906 — ერქვანი
მაღაროელი — კახეთი
საპოვნელა — მეტალურგი
9 აგვისტო, ორშაბათი
მრეტები — დილა

II ტური
12 აგვისტო, ხუთშაბათი
ივერია — კახეთი
მაღაროელი — მარგვეთი
საპოვნელა — ერქვანი
დინამო — შევარდენი 1906
13 აგვისტო, პარასკევი
მრეტები — მეტალურგი

III ტური
17 აგვისტო, სამშაბათი
შევარდენი 1906 — საპოვნელა
ერქვანი — მაღაროელი
მარგვეთი — მრეტები
მეტალურგი — ივერია
კახეთი — დილა

IV ტური
18 აგვისტო, ორშაბათი
ერქვანი — დინამო
მარგვეთი — საპოვნელა
მეტალურგი — მაღაროელი
ივერია — მრეტები
დილა — ივერია

V ტური
27 აგვისტო, პარასკევი
მარგვეთი — შევარდენი 1906
მეტალურგი — დინამო
კახეთი — საპოვნელა
დილა — მაღაროელი
ივერია — მრეტები

VI ტური
31 აგვისტო, სამშაბათი
მაღაროელი — ივერია
საპოვნელა — დილა
დინამო — კახეთი
შევარდენი 1906 — მეტალურგი
ერქვანი — მარგვეთი

VII ტური
6 სექტემბერი, ორშაბათი
მეტალურგი — ერქვანი
კახეთი — შევარდენი 1906
დილა — დინამო
ივერია — საპოვნელა
მრეტები — მაღაროელი

VIII ტური
10 სექტემბერი, პარასკევი
საპოვნელა — მრეტები
დინამო — ივერია
შევარდენი 1906 — დილა
ერქვანი — კახეთი
მარგვეთი — მეტალურგი

IX ტური
20 სექტემბერი, ორშაბათი
კახეთი — მარგვეთი
დილა — ერქვანი
ივერია — შევარდენი 1906
მრეტები — დინამო
მაღაროელი — საპოვნელა

X ტური
24 სექტემბერი, პარასკევი
დინამო — მაღაროელი
შევარდენი 1906 — მრეტები
ერქვანი — ივერია
მარგვეთი — დილა
მეტალურგი — კახეთი

XI ტური
3 ოქტომბერი, კვირა
დილა — მეტალურგი
ივერია — მარგვეთი
მრეტები — ერქვანი
მაღაროელი — შევარდენი 1906
საპოვნელა — დინამო

მეორე წრე

XII ტური
7 ოქტომბერი, ხუთშაბათი
კახეთი — მაღაროელი
მეტალურგი — საპოვნელა
მარგვეთი — დინამო
ერქვანი — შევარდენი 1906
დილა — მრეტები

XIII ტური
11 ოქტომბერი, ორშაბათი
კახეთი — ივერია
მარგვეთი — მაღაროელი
ერქვანი — საპოვნელა
შევარდენი 1906 — დინამო
მეტალურგი — მრეტები

XIV ტური
15 ოქტომბერი, პარასკევი
საპოვნელა — შევარდენი 1906
მაღაროელი — ერქვანი
მრეტები — მარგვეთი
ივერია — მეტალურგი
დილა — კახეთი

XIV ტური
24 ოქტომბერი, კვირა
დინამო — ერქვანი
საპოვნელა — მარგვეთი
მაღაროელი — მეტალურგი
მრეტები — კახეთი
ივერია — დილა

XVI ტური
28 ოქტომბერი, ხუთშაბათი
შევარდენი 1906 — მარგვეთი
დინამო — მეტალურგი
საპოვნელა — კახეთი
მაღაროელი — დილა
მრეტები — ივერია

XVII ტური
8 ნოემბერი, ორშაბათი
ივერია — მაღაროელი
დილა — საპოვნელა
კახეთი — დინამო
მეტალურგი — შევარდენი 1906
მარგვეთი — ერქვანი

XVIII ტური
16 ნოემბერი, სამშაბათი
ერქვანი — მეტალურგი
შევარდენი 1906 — კახეთი
დინამო — დილა
საპოვნელა — ივერია
მაღაროელი — მრეტები

XIX ტური
20 ნოემბერი, შაბათი
მრეტები — საპოვნელა
ივერია — დინამო
დილა — შევარდენი 1906
კახეთი — ერქვანი
მეტალურგი — მარგვეთი

XX ტური
3 დეკემბერი, პარასკევი
მარგვეთი — კახეთი
ერქვანი — დილა
დინამო — მრეტები
საპოვნელა — მაღაროელი
4 დეკემბერი, შაბათი
შევარდენი 1906 — ივერია

XXI ტური
12 დეკემბერი, კვირა
მაღაროელი — დინამო
მრეტები — შევარდენი 1906
ივერია — ერქვანი
დილა — მარგვეთი
კახეთი — მეტალურგი

XXII ტური
16 დეკემბერი, ხუთშაბათი
მეტალურგი — დილა
მარგვეთი — ივერია
ერქვანი — მრეტები
შევარდენი 1906 — მაღაროელი
დინამო — საპოვნელა

	აღმოსავლეთი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	მ	ფ	ნ	გ	ქ	ა
1	დილა გორი	●																
2	დინამო თბილისი		●															
3	ერქვანი გურჯაანი			●														
4	ივერია ხაშური				●													
5	კახეთი თელავი					●												
6	მარგვეთი ზესტაფონი						●											
7	მაღაროელი ჭიათურა							●										
8	მეტალურგი რუსთავი								●									
9	მრეტები თბილისი									●								
10	საპოვნელა თერჯოლა										●							
11	შევარდენი 1906 თბილისი											●						

დასავლეთი

პირველი წრე

I ტური
8 აგვისტო, კვირა
ტორპედო — შუქურა
კოლხეთი 1913 — ამირანი
სამტრედია — მზიური
ბათუმი — ცხუმი
გურია — ოდიში

II ტური
12 აგვისტო, ხუთშაბათი
ცხუმი — გურია
მზიური — ბათუმი
ამირანი — სამტრედია
შუქურა — კოლხეთი 1913
სამგურალი — ტორპედო

III ტური
17 აგვისტო, სამშაბათი
კოლხეთი 1913 — სამგურალი
სამტრედია — შუქურა
ბათუმი — ამირანი
გურია — მზიური
ოდიში — ცხუმი

IV ტური
23 აგვისტო, ორშაბათი
მზიური — ოდიში
ამირანი — გურია
შუქურა — ბათუმი
სამგურალი — სამტრედია
ტორპედო — კოლხეთი 1913

V ტური
27 აგვისტო, პარასკევი
სამტრედია — ტორპედო
ბათუმი — სამგურალი
გურია — შუქურა
ოდიში — ამირანი
ცხუმი — მზიური

VI ტური
31 აგვისტო, სამშაბათი
ამირანი — ცხუმი
შუქურა — ოდიში
სამგურალი — გურია
ტორპედო — ბათუმი
კოლხეთი 1913 — სამტრედია

VII ტური
6 სექტემბერი, ორშაბათი
ბათუმი — კოლხეთი 1913
გურია — ტორპედო
ოდიში — სამგურალი
ცხუმი — შუქურა
მზიური — ამირანი

VIII ტური
10 სექტემბერი, პარასკევი
შუქურა — მზიური
სამგურალი — ცხუმი
ტორპედო — ოდიში
კოლხეთი 1913 — გურია
სამტრედია — ბათუმი

IX ტური
20 სექტემბერი, ორშაბათი
გურია — სამტრედია
ოდიში — კოლხეთი 1913
ცხუმი — ტორპედო
მზიური — სამგურალი
ამირანი — შუქურა

X ტური
24 სექტემბერი, პარასკევი
სამგურალი — ამირანი
ტორპედო — მზიური
კოლხეთი 1913 — ცხუმი
სამტრედია — ოდიში
ბათუმი — გურია

XI ტური
3 ოქტომბერი, კვირა
ოდიში — ბათუმი
ცხუმი — სამტრედია
მზიური — კოლხეთი 1913
ამირანი — ტორპედო
შუქურა — სამგურალი

მეორე წრე

XII ტური
7 ოქტომბერი, ხუთშაბათი
შუქურა — ტორპედო
ამირანი — კოლხეთი 1913
მზიური — სამტრედია
ცხუმი — ბათუმი
ოდიში — გურია

XIII ტური
11 ოქტომბერი, ორშაბათი
გურია — ცხუმი
ბათუმი — მზიური
სამტრედია — ამირანი
კოლხეთი 1913 — შუქურა
ტორპედო — სამგურალი

XIV ტური
15 ოქტომბერი, პარასკევი
სამგურალი — კოლხეთი 1913
შუქურა — სამტრედია
ამირანი — ბათუმი
მზიური — გურია
ცხუმი — ოდიში

XV ტური
24 ოქტომბერი, კვირა
ოდიში — მზიური
გურია — ამირანი
ბათუმი — შუქურა
სამტრედია — სამგურალი
კოლხეთი 1913 — ტორპედო

XVI ტური
28 ოქტომბერი, ხუთშაბათი
ტორპედო — სამტრედია
სამგურალი — ბათუმი
შუქურა — გურია
ამირანი — ოდიში
მზიური — ცხუმი

XVII ტური
8 ნოემბერი, ორშაბათი
ცხუმი — ამირანი
ოდიში — შუქურა
გურია — სამგურალი
ბათუმი — ტორპედო
სამტრედია — კოლხეთი 1913

XVIII ტური
16 ნოემბერი, სამშაბათი
კოლხეთი 1913 — ბათუმი
ტორპედო — გურია
სამგურალი — ოდიში
შუქურა — ცხუმი
ამირანი — მზიური

XIX ტური
20 ნოემბერი, შაბათი
მზიური — შუქურა
ცხუმი — სამგურალი
ოდიში — ტორპედო
გურია — კოლხეთი 1913
ბათუმი — სამტრედია

XX ტური
3 დეკემბერი, პარასკევი
სამტრედია — გურია
კოლხეთი 1913 — ოდიში
ტორპედო — ცხუმი
სამგურალი — მზიური
შუქურა — ამირანი

XXI ტური
12 დეკემბერი, კვირა
ამირანი — სამგურალი
მზიური — ტორპედო
ცხუმი — კოლხეთი 1913
ოდიში — სამტრედია
გურია — ბათუმი

XXII ტური
16 დეკემბერი, ხუთშაბათი
ბათუმი — ოდიში
სამტრედია — ცხუმი
კოლხეთი 1913 — მზიური
ტორპედო — ამირანი
სამგურალი — შუქურა

	დასავლეთი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	მ	ფ	ნ	გ	ქ	ა
1	ამირანი ოჩამჩირე	●																
2	ბათუმი		●															
3	გურია ლანჩხუთი			●														
4	კოლხეთი 1913 ფოთი				●													
5	მზიური გალი					●												
6	ოდიში ზუგდიდი						●											
7	სამგურალი წყალტუბო							●										
8	სამტრედია								●									
9	ტორპედო ქუთაისი									●								
10	შუქურა ქობულეთი										●							
11	ცხუმი სოხუმი											●						

„დინამო“ — „ლინფილდი“

როგორც შევიტყვეთ, 18 აგვისტოს „დინამოსა“ და „ლინფილდის“ მატჩს თურქი არბიტრი თუროღლი უმსაჯებს. შეხვედრის კომისრად უეფამ დანიშნა ბელგიელი კარელ ფერტონგენი ქალაქ ბრასხაატიდან. იგი უეფას სტადიონების კომისიაში მუშაობს. ამ კომისიის თავმჯდომარე უოლკერი თავკაცობდა ივნისში ჩილეში მოვლინებულ უეფას ესპერტთა ჯგუფს.

საქართველოს ჩემპიონატის წინ

ქართული ტრანსფერი

შარშანდელი სეზონის წინ ისედაც არეულობით გამორჩეულ ქართულ საფეხბურთო ბაზარზე უცნაური შემთხვევა მოხდა: ორი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორის და თასის მფლობელის „გურიის“ თითქმის მთელმა ძირითადმა შემადგენლობამ ფეხი დაკრა და გურჯაანის „ალაზანში“ გადავიდა. შედეგი სახეზეა — „ალაზანი“ ბრინჯაოს მედალს დაესაკუთრა, გურულები კი მე-12 ადგილზე გავიდნენ. ამჯერად, საქმეს ისეთი პირი უჩანს, გურჯაანელები აღმოჩნდებიან ლანჩხუთელთა პოზიციაში — 14 ფეხბურთელი წავიდა გუნდიდან თავის მწვრთნელიან-მასაჟისტიანად. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ოთარ გაბელია ამ სეზონში ყვარლის „დურუჯს“ უხელმძღვანელებს, ანზორ გაბიტაშვილი კი ფოთის „კოლხეთი 1913“-ის ფეხბურთელებს მოახმარს მრავალწლიან გამოცდილებას. კლუბის პრეზიდენტ მიხეილ ფურცელაძის გარდა გუნდში მხოლოდ ოთხი ფეხბურთელი (სეფაშვილი, სანადირაძე, წიქარიშვილი, მოსიკაშვილი) და სამი მწვრთნელი (გილიგაშვილი, არევაძე, ყალაბეგაშვილი) დარჩა. საჭირო გახდა სასწრაფო ზომების მიღება. კლუბის მეპატრონე გახდა კორპორაცია „ერქვანი“, რომლის პრეზიდენტმა კობა ჯიბღაშვილმა მთავარი მწვრთნელის პოსტი ჯონი ჯანელიძეს ჩააბარა. სასწრაფოდ დაიწყო გუნდის დაკომპლექტება: ინიაშვილმა, კიკნაძემ („მარგვეთი“) და ლაცაბიძემ („ივერია“) უკვე „ერქვანში“ (სახელის გადარქმევაზე ცალკე წერილში ვისაუბრებთ) დაიწყეს ვარჯიში. მოვიდა რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელიც, მაგრამ, მეორე მწვრთნელის გია გილიგაშვილის აქმით, პირველ საკონტროლო მატჩზე „ჰაბუკიანთან“ 11 ფეხბურთელი მაინც ვერ შეგროვდა. ეს მატჩი „ერქვანმა“ დათმო 1:2 და თერთმეტმეტრიანიც ვერ გამოიყენა. ამჟამადაც მიმდინარეობს გუნდის შევსება, ვუმცა ძნელი სავარაუდოა, რომ დღეს „ერქვანმა“. ახალგაზდაში ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი შეიყვანოს, გამოუცდელებს კი თამაშის პრაქტიკა ესაჭიროებათ. სწორედ ამიტომ ჯონი ჯანელიძემ ჩვენთან საუბარში დაიწუნა ჩემპიონატის დებულება იმით, რომ გათვალისწინებულია მხოლოდ ორი ფეხბურთელის შეცვლა. „ფიფას წესები ამჟამად ჩვენ არ გვაწყობს, სჯობია სამი შეცვლა იყოს და მეტი ფეხბურთელი გამოვცადოთ. ევროპულ ტურნირებზე რომ გავალთ, ორამდე თვლა არ შეგვეშლება“ — თქვა ბატონმა ჯონიმ. სკანდალურად გახმაურებულ დებულებას კი, მისი აზრით, აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. „დადებითია ის, რომ მეორე ეტაპზე ყველა თანაბარ პოზიციაში აღმოჩნდება, მაგრამ დიდია შანსი, რომ ძლიერ კლუბებს საშუალება მიეცემათ პირველი ეტაპიდან ერთი ან ორი გუნდი „გადაათრიონ“ ზევით. თუმცა ეს ჩვენ „არ გვიმუქრება“. ამჟამად იმაზე ვფიქრობთ, რომ პირველ ლიგაში ადგილი შევინარჩუნოთ. ჩემი მიზანია შევქმნა გუნდი, რომელიც საპნის ბუშტივით არ გასკდება“ — ასეთია ჯანელიძის პოზიცია.

რაც შეეხება ზოგიერთი იმ ფეხბურთელის წასვლას გუნდიდან, რომელთაც კონტრაქტის ვადა ჯერ არ გასვლიათ, საქმე უფრო რთულადაა. კორღალიძეს კონტრაქტით კიდევ ორი წელი უნდა ეთამაშა გურჯაანში. შაბათის „ლელოში“ ჯონი ჯანელიძე იმედოვნებს, რომ „კორღალიძე ჩამოვა გურჯაანში და მხარში ამოგვიდგება“. ჩვენ კი კორღალიძეს ხუთშაბათ დილით შევხვდით, როცა იგი ლანჩხუთს მიემგზავრებოდა და ჩვენთან საუბარში უკვე „გურიის“ გეგმებზე ლაპარაკობს: „შეხუთე ჩემპიონატში ისევ „გურიას“ შემადგენლობაში ვითამაშებ. ამის შესახებ ვესაუბრე „ალაზანის“ პრეზიდენტს მიხეილ ფურცელაძეს, კლუბის მთავარ მწვრთნელს ჯონი ჯანელიძეს და მათ არ გამოუთქვამთ პრეტენზია ჩემი გადასვლის გამო. ლანჩხუთის „გურიაში“ წელს კვლავ ითამაშებენ ბადრი დანელია, მერაბ თევზაძე, მამუკა აბუსერიძე, ბესო ფრიდონაშვილი. სოხუმის „ცხუმიდან“ ჩვენთან გადმოვიდა დიმიტრი პაპავა. სამწუხაროდ „გურია“ დატოვეს მთავარმა მწვრთნელმა გიგლა იმნაძემ და მცველმა გია ჩხაიძემ — ორივენი ფოთის „კოლხეთიში“ გადავიდნენ. „გურიას“ წელს უხელმძღვანელებს თემურ ჩხაიძე, რომელიც კარგა ხანს

ოთარ კორღალიძე

თამაშობდა გუნდში, იყო კაპიტანი, ხოლო შემდეგ გუნდის უფროსი. რაც შეეხება ჩემს წამოსვლას „ალაზნიდან“, მიზეზი ძირითადად ოჯახური. გურჯაანელებზე და განსაკუთრებით მათ პრეზიდენტ მიხეილ ფურცელაძეზე კი კარგის გარდა არაფერი მეთქმის“.

არ ვიცით, როგორ გადაწყდება ეს საქმე (დარწმუნებული ვარ, ასეთი კიდევ ათეულობით აღმოჩნდება სხვა გუნდებში). ალბათ ფედერაციაც იტყვის თავის სათქმელს. ისე კი ასეთ შემთხვევაში კონტრაქტი საქორწინო მოწმობას წაგავს: მას ხელს აწერ და სულ არაა აუცილებელი მეუღლე პირველივე უფრო ლამაზ შემხვედრზე გაცვალო. აქ კონკრეტულად კორღალიძეს არ ვგულისხმობ, რომელსაც ოჯახური მიზეზები გააჩნია. საჭიროა ცივილიზებული მიდგომა, თორემ მალე კონტრაქტი, კუპონისა არ იყოს, ფარატინა ქაღალდად იქცევა.

გიგა კობახიძე

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

სამხრეთ ამერიკა

კვირას „ა“ ჯგუფის გუნდებიც ჩაებნენ ამერიკის საგზურებისთვის ბრძოლაში. ამ ჯგუფიდან მხოლოდ ერთი გამარჯვებული გადის ფინალურ ტურნირზე, მეორეზე გასული კი კანადა — ავსტრალიის მოგებულს შეხვდება. ლიმაში ადგილობრივმა გულშემატკივრებმა საშინელი დახვედრა მოუწყვეს არგენტინის ნაკრებს. ბატისტუტამ 28-ე წუთზე გატანილი გოლით კიდევ უფრო გააღიზიანა ისინი, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის. შეხვედრა ასეც დამთავრდა. ოსკარ რუჯერიმ 82-ე მატჩი ითამაშა ნაკრებში და ამ მხრივ არგენტინის რეკორდსმენი გახდა. ბარანკილიაში კოლუმბიელებმა ქულა დაკარგეს პარაგვაისთან 0:0. პირველ ტაიმში ასპრილიამ ვერ გაიტანა პენალტი.

„ბ“ ჯგუფში, როგორც იქნა, ბოიგო ბრაზილიის ნაკრებმა, რომელმაც წინა კვირას პირველად მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში წააგო შესარჩევი მატჩი ბოლივიასთან 0:2. გულშემატკივრების განაწყენება პანიკაში გადაიზარდა. „უბედურება“ — ასეთი იყო მეორე დღეს „ჟორნალ დუ სპორტის“ პირველ გვერდზე გამოტანილი სათაური. „თუ ვენესუელას ვერ მოვუგეთ, კარლოს ალბერტო პერეირა დასტოვებს ნაკრებს“ — იმუქრებოდა ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტი რიკარდო ტეიშერა. კარლოს ალბერტო გადარჩა. ვენესუელამ ვერაფერი ხეირიანი ვერ აჩვენა და

დამარცხდა 1:5. 34-ე წუთზე მასპინძელთა მცველმა მიგელ ეჩენაზიმ ხელით შეაჩერა ცარიელ კარში მიმავალი ბურთი. სასჯელი ორმაგი აღმოჩნდა: გაძევება და პენალტი. რაიმ გახსნა ანგარიში. მეორე ტაიმში ბებეტომ (60, 82), ბრანკომ (78) და პალინიამ (87) კიდევ ოთხი ბურთი გაუტანეს უსუსურ (პელეს სიტყვებით) მასპინძლებს. 82-ე წუთზე ხუან გარსიამ შეამცირა სხვაობა. მოგების მიუხედავად, პელემ არ დაინდო თანამემამულეები და თქვა, რომ უბრალოდ მოწინააღმდეგე იყო ძალიან სუსტი, თავად ჩვენების თამაში არაფრად ვარგოდაო. მონტევიდეოში ითამაშეს ურუგვაიმ და ეკვადორმა — 0:0. ამჟამად ჯგუფში ასეთი სიტუაციაა:

	თ	მ	ფ	წ	გ	ქ
ბოლივია	2	2	0	0	9-1	4
ბრაზილია	3	1	1	1	5-3	3
ურუგვაი	2	1	1	0	1-0	3
ეკვადორი	2	0	2	0	0-0	2
ვენესუელა	3	0	0	3	2-13	0

კანადა 2
ავსტრალია 1

ედმონტონში შედგა პირველი მატჩი კანადასა და ავსტრალიას შორის. თამაშს წინ დიდი აჟიოტაჟი უძღოდა. საკმე ის არის, რომ ავსტრალიელთა ძირითადი მეკარე, 21 წლის მარკ ბოსნიჩი, რომელიც ინგლისის „ასტონ ვილაში“ თამაშობს, ცივ უარზე დადგა — ნაკრებში აღარ ვითამაშებო, მიზეზად კი მოუცლელობა მოიტანა, აქაოდა, ბიზნესით ვარ დაკავებულიო. ავსტრალიელებმა ფიფა-ს მიმართეს, მან თავის მხრივ ურჩ მეკარეს 16 აგვისტომდე აუკრძალა ნებისმიერი რანგის თამაშში მონაწილეობა (ბოსნიჩი ინგლისის ჩემპიონატის პირველ მატჩს გამოტოვებს), მაგრამ ეს ავსტრალიის ნაკრებს რას უშველიდა. კარში აქამდე მეორე მეკარე რობერტ სუბიკო ჩადგა, რომელიც... მე-16 წუთზე უხეში თამაშისთვის მოედნიდან გააძევეს. პირველი გოლი მაინც სტუმრებმა გაიტანეს, უფრო სწორად, მათ ჩაეთვალათ, ვინაიდან იგი კანადელმა მიკ ტასოვიჩმა თავის კარში გაიტანა პირველი ტაიმის ბოლო წუთზე. მასპინძლებმა მაინც შეძლეს მოგება (მარკ ვუდსონი, დომინიკ მობილიო) 2:1, მაგრამ საპასუხო შეხვედრაში, რომელიც ამ უქმეებზე ავსტრალიაში გაიმართება, მათ ნაკლები შანსი რჩებათ.

ფეხბურთის რუკასთან

გასულ შაბათ-კვირას წინასასეზონო ოთხთა ტურნირი ჩატარდა ლონდონის „უაით ჰართ ლეინის“ სტადიონზე. შაბათს „ჩელსისა“ და „აიაქსის“ მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1, პენალტებში ლონდონელებმა იმარჯვეს 4:2. მეორე შეხვედრაში ერთმანეთს შეხვდნენ პოლ გესკოინის ახლანდელი და ყოფილი კლუბები — „ტოტენჰემმა“ მოუგო „ლაციოს“ 3:2. ერთი გოლი „ლაციოდან“ გესკოინმა გაიტანა. კვირას მესამე ადგილისთვის „აიაქსმა“ პირველივე შვიდ წუთში ორი გოლი გაუტანა „ლაციოს“ (ფინელი იან ლიტმანენი და ჯონ ვან დე ბრომი) და მატჩიც ასე დამთავრდა. პირველი ადგილი კი „ჩელსის“ ხვდა. მან გაანადგურა მასპინძლები 4:0 (კასკარინო — 3, ჰაკოკი). აქვე ცნობილი გახდა, რომ „აიაქსმა“ წელს გადმოყვანილ პიტერ ვან ფოსენსა და გუნდში დაბრუნებულ ფრუნკ რაიკაარდს 22 წლის ნიგერიელი თავდამსხმელი ჯორჯ ფინიდი დაუმატა.

ორი მოულოდნელი ტრანსფერი შედგა გასულ კვირას. გერმანელი როლანდ ვოლფარტი მიუხვენის „ბაიერნიდან“ „სენტ-ეტიენში“ გადავიდა. გარიგების ფასია მილიონნახევარი დოლარი. მეორე ტრანსფერი თანხით წინას აშკარად ჩამოუვარდება, თუმცა სხვა რამითაა საინტერესო. ინგლისის „სვინდონ თაუნიდან“ თურქეთის ქალაქ იზმირის გუნდში გადავიდა ავსტრალიელი დევიდ მიტჩელი. „სვინდონის“ მწვრთნელმა ჯონ გორმენმა ეს მხოლოდ მაშინ შეიტყო, როცა დაინტერესდა, თუ საიდან გაჩნდა კლუბის ხაზინაში 20 ათასი გირვანქა. თურმე მიტჩელს კონტრაქტში ეწერა, რომ კლუბის დაუკითხავადაც კი შეეძლო ნებისმიერ ადგილას გამგზავრება.

7 აგვისტოს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს ზამბიასთან სენეგალის ნაკრები კოტ დ'ივუარში ითამაშებს. გასულ ხუთშაბათს ფიფამ ასე დასაჯა სენეგალი მაროკოსთან მატჩში მომხდარი უწესრიგობების გამო. ამ შეხვედრაში, რომელიც სტუმართა გამარჯვებით დამთავრდა 3:1, სენეგალის ნაკრებმა ამერიკაში წასვლის

როი კინი

დიონ დაბლინმა — 0:1. ვალში არც აფრიკელები დარჩნენ — მატჩის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე ტიმოთი ლესენინამ გაათანაბრა ანგარიში. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ საკმაოდ უაზროდ ითამაშა და მეორე დღეს სახლში გამოემგზავრა, სადაც კვირას „ბენფიკას“ უმასპინძლა. ვერც ამ მატჩში შეძლო ინგლისის ჩემპიონმა გაწრებული თამაშის ჩვენება. სპეციალისტების აზრით, მხოლოდ გიგზი, რობსონი და კანჩელსკისი არიან სათანადო ფორმაში. რაც შეეხება ინგლისის ისტორიაში უველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელს, ირლანდიელ როი კინს, მისი დებიუტი არაფერით იყო აღსანიშნავი. არადა, მასში კლუბმა 3 მილიონ 750 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ წააგო 0:1. იმავე დღეს „არსენალმა“, რომელსაც „ტოტენჰემი“ სამხრეთ აფრიკა, „კაიზერ ჩიფსს“ სძღია 1:0.

ამერიკა 1
ევროპა 1

ამ ორ ტურნირზე ევროპელებმა ამერიკელებს ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ერთ ადგილზე

არის მოვლენები, რომელთა შესახებ მონათხრობსაც ყველი არასოდეს გასდის. უთუოდ ასეთ მოვლენათა წყებას განეკუთვნება „ბრიტანელი ლომების“ უკანასკნელი ტურნე ახალ ზელანდიაში, რომელიც აგერ უკვე ერთი თვეა, რაც დამთავრდა. მიუხედავად ამისა, მისი ამბის უცნობლად სპორტისა და მეტადრე რაგბის მოყვარულებს გაუჭირდებათ მსოფლიო რაგბის ყოველდღიურ ორომტრიალში გარკვევა. აი ამიტომ, მართალია, ოდნავ დაგვიანებით, მაგრამ მაინც გთავაზობთ ბრიტანელთა და ახალზელანდიელთა შერკინების ამბავს.

ათი წელი ელოდნენ

ვიდრე ტურნე დაიწყებოდა

წლევანდელი ხუთი ერის პირველობა სენსაციურად დამთავრდა. ბოლო ტურში, 20 მარტს ირლანდიამ 17:3 დამარცხა ინგლისი, რომელშაც წინა ორი ჩემპიონატი ქულათა მაქსიმუმით („დიდი სლემით“) მოიგო. ჩემპიონი საფრანგეთი გახდა რვიდან 6 ქულით, შოტლანდიამ, ინგლისმა და ირლანდიამ 4-4 ქულა მოაგროვეს, უელსმა კი — ორი. ამას ბრიტანულ სარაგბო წრეებსა და მედიაში დიდი აურზაური მოჰყვა, რაკილა ბოლო ტურიდან ორი დღის თავზე ახალ ზელანდიაში გასაგზავნი „ლომების“ შემადგენლობა უნდა გამოეცხადებინათ.

გუნდის სია გამოქვეყნდა და ცხადი შეიქნა, რომ ინგლისის მარცხს გავლენა ვერ მოეხდინა შემრჩეველთა გადწყვეტილებაზე: 30 „ლომიდან“ 16 ინგლისელი იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ინგლისის ნაკრების ზოგი სათადარიგოც კი სხვა ბრიტანელი გუნდების ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეთათვის ემზობინებინათ. ინგლისელები იყვნენ ორივე ბარე ნახევარმცველი, ორივე შერკინების შემკვრელი და ოთხიდან სამი გარემარბი: სამგაეროდ, გუნდის კაპიტნად ისევ კელტი — შოტლანდიელი გვყავს პესთინგსი დაენიშნათ, რომელიც სულ ერთი წელი იყო, რაც თავისი ქვეყნის ნაკრებს წინამძღოლობდა.

„ლომებში“ 16 მოთამაშის გაყვანით ინგლისმა გიმეორა უელსის 1977 წლის დროინდელი რეკორდი. გუნდში ინგლისელთა სიმრავლე ურწმუნოდ განაყობდა ბრიტანულ სარაგბო საზოგადოებრიობას, ვინაიდან მიაჩნდა, რომ გამოცდილი, მაგრამ ოცდაათს გადაცილებული ვეტერანები ვერ გაუმკლავდებოდნენ „ოლ ბლექსს“, მეტადრე კი მის მორკინალებს, რომლებიც ზეაგრესიული, ზესწრაფი და ზეძალისმიერი თამაშით არიან ცნობილი. და მაინც, ის ფაქტი, რომ 11 „ლომი“: გ. ჰესთინგსი, ქლემენთი, ევანსი, რ. ანდერვუდი, გასქოთი, ს. ჰესთინგსი, ენდრიუ, მური, დული, თიეგი და რიჩარდსი — ოთხი წლის წინ „ლომების“ ავსტრალიურ ტურშეიც მონაწილეობდა და ერთობ წარმატებულადაც, ახალი ზელანდიის სარაგბო თუმს სტუმართა მიმართ უღრმესი პატივისცემით განაწყობდა.

ტურნე, ტესტი, ტესტ-სერია,...

ისე მოხდა, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში რაგბიცა და კრიკეტიც ერთმანეთისგან ერთობ დაშორებულ ქვეყნებში: ერთის მხრივ, დიდ ბრიტანეთში, მეორე მხრივ კი — სამხრეთ აფრიკაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში განვითარდა. ამის გამო იყო, მეტროპოლიისა და დომინიონების გუნდებს ერთმანეთთან რომ ეთამაშათ, საოკეანო ხომალდებით ჯერ ათი ათასობით საზღვაო მილი უნდა გაეცურათ, რაც ადვილი მისახვედრია, წარა-მარა ვერ მოხერხდებოდა. აი ამიტომ ათწლეულში ერთი-ორჯერ ან ერთნი, ან მეორენი გუდა-ნაბადს აიკრავდნენ, გემში ჩასხდებოდნენ და სტუმრად რომ ჩაალწევდნენ, იქ თვეობით, ზოგჯერ კი ნახევარ წელსაც რჩებოდნენ სათამაშოდ. ამას ტურნე (Tour; ფრანგულად Tournee) ეწოდებოდა.

მართალია, თვითმფრინავის გამოგონებისა და საპაერო მიმოსვლის განვითარების კვალად მგზავრობა გაიოლდა, მაგრამ რაგბიცა და კრიკეტიც ტურნეების გამართვის ტრადიცია შემორჩა; ტურნეებიც თანდათან გახშირდა და დამოკლდა. თუ 1950-60-იან წლებში ჯერ კიდევ ჩვეულებრივ ამბად აღიქმებოდა 25-თამაშიანი ტურნე, დღესდღეობით მსოფლიო რაგბის მმართველი გაერთიანების — ირბ-ის დადგენილებით ტურნეს სიგრძე აღარ შეიძლება აღემატებოდეს 13 თამაშს — აქაო და ცნობილი მოთამაშეები არ გადაგვეღალონო.

ტურნეს დროს სტუმარი მასპინძელ ქვეყანაში (ქვეყნებში) მოგზაურობს და იქაურ სხვადასხვა რანგის გუნდებს ხვდება. კვირაში ორი თამაში იმართება: ერთი — უქმეებზე, მეორე — შუა კვირაში. როგორც წესი, სტუმარს უქმეებზე უფრო ძლიერ გუნდებს ახვედრებენ და მასაც უფრო ძლიერი შემადგენლობა გამოპყავს.

უქმეებზე გასამართი თამაშებიდან საგანგებოდ გამოყოფენ ტესტ-მატჩებს (Test-match), რომლის დროსაც სტუმარ ნაკრებს მასპინძელთა ეროვნული ნაკრები ეთამაშება. ტესტები, ჩვეულებრივ, ტურნეს მეორე ნახევრისათვის იგეგმება, ოღონდ ისე, რომ ტესტიდან ტესტამდე სტუმარს სულის მოთქმის საშუალება ჰქონდეს. ტესტების ერთობლიობას ტესტ-სერია (Test-series) ეწოდება. ტურნეს შედეგზე სწორედ ტესტ-სერიის ანგარიშის მიხედვით მსჯელობენ.

პირველი თამაშიდან პირველ ტესტამდე

ტურნეს პირველ ნახევარში „ლომები“ ტრავმებმა გტანჯა. ჯერ კიდევ ახალ ზელანდიაში გამგზავრებამდე კარგა ხნით ადრე ცხადი შეიქნა, რომ დამავებული — არმსთრონგი დროულად ვერ მომჯობინდებოდა. მისი ადგილი უელსელმა რ. ჯოუნზმა დაიკავა, რითაც ავსტრალიაგამოვლილი „ლომების“ კენტინენტი თორმეტამდე შეივსო.

მერე იყო ტურნეს პირველი თამაში ახალი ზელანდიის პროვინციათაშორისი ჩემპიონატის მეორე ჯგუფის (ჯგუფებში 9 - 9 გუნდი თამაშობს) წევრ ბრდილოეთ ოქლენდთან. „ლომებს“ თამაში უძლიერესი შემადგენლობით არ დაუწყიათ, მაგრამ პირველი ნახევრის მიწურულსვე ჰანთერს ბოჭვისას მხარი ელრძო და იგი ტურნეს კაპიტანმა გ. ჰესთინგსმა შეცვალა. ჰანთერის ტრავმა იმდენად სერიოზული ეგონდა, რომ იგი შინ გაგზავნეს, მის ნაცვლად კი ირლანდიიდან გუნდში ვოლისს უხმეს, რაც ტურნეს წესების თანახმად ნებადართულია.

ჩრდილოეთ ოქლენდის ძლევის შემდეგ „ლომებმა“ გვინ სამხრეთით აიღეს და ოქლენდის თანამეზავრ ქალაქში, პალაეებით ცნობილ თაპაფუანში ჩამოწდნენ, სადაც მათ უფრო ძლიერი სარაგბო პროვინციის — ჩრდილოეთ ნავსაყუდლის გუნდი ელოდათ. თამაში დაძაბული და სკანდალური გამოდგა. მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, რომ ინგლისელმა პოლიციელმა რიჩარდსმა დაწიხლა სამოელეყოფილი, ამაკადე კი „ოლ ბლექსის“ შუაბარბი ბანსი, რომელსაც მერე თავზე 12 ნაკერი დადგეს. ბანსს თანაგუნდელი მორკინალები გამოექომაგნენ, რიჩარდსს — თავისიანები; ატყდა მუშტი-კრივი, რომლის შემდეგაც რიჩარდსი მოედნის კიდეზე იდგა, პირიდან სისხლს ანთხევდა და კბილებს აფურთხებდა. უიღბლო პოლიციელი ჰოსპიტალში მიაბრძანეს, მაგრამ რეფერეენსა ცხადყო, რომ მორაგბე ამჯერად ყბის მოტეხვას გადარჩენილიყო.

თაპაფუანის ინციდენტი ახალი ზელანდიის რაგბის მამებს უასუხოდ არ დუტოვებიათ. ირბ-ის ახლანდელმა თავჯდომარემ თონჭმა მოთამაშეთა ქცევას „ერთიანად შეუწყნარებელი“ უწოდა და სტუმრებსაც და მასპინძლებსაც წესრიგისაკენ მოუწოდა. დატუქსვამ გაჭრა და ტურნემაც აქედან მოყოლებული ბოლომდე მშვიდობიანი მიატანა.

შესამე თამაშმა ტურნე დაამშვენა. ქვეყნის ლუალაქაქ ველინგთონში, ჩრდილოეთი და სამხრეთი კუნძულების გამყოფი ქუქის სრუტის ნაპირზე „ლომებს“ ახალი ზელანდიის მკვიდრი მოსახლეობის — მაორების ნაკრები ეთამაშა. მასპინძლების ოთხი მორკინალი — ბრაუნი, ქუქსი, ჯოზეფი და ზ. ბრუქი იმავდროულად „ოლ ბლექსში“ სათამაშოდ იჭერდა თადარიგს. აქამდე „მაორებს“ ხუთჯერ ეთამაშათ „ლომებთან“ და ვერც ერთხელ ვერ გაემარჯვათ, მაგრამ ამჯერად პირველი ნახევრის შემდეგ 20:0 იგებდნენ. მეორე ნახევარში „ლომები“ აბობოქრდნენ. ევანსმა და კაპიტანმა ჰესთინგსმა დანარჩენებიც აიყოლიეს. ევანსმა სოლო ლელო გაიტანა, მერე რანდერვუდს გაანავარდებინა, ბოლოს კი კაპიტანს. კაპიტანმა სამივე ლელო გარდასახა, ლელოებამდე კი ერთი საჯარიმოც შეაგდო. საბოლოოდ 24:20, რაც ალალი რაგბის ჭეშმარიტი ზეიმი გამოდგა.

ტურნეს მესამე კვირაში „ლომებმა“ ქუქის სრუტე გადაჭრეს და შუა კვირაში იოლად სძლიეს ახლო წარსულშიც კი ძლევამოსილ ქენთერბერს, რომელსაც ამჯერად ოლბლექსელები არა ჰყავს. მაგრამ მეხუთე თამაშში მანამდე უძლეველ „ლომებს“ პირველი მარცხი შეემოხვათ და თან როგორი: პირველი ტესტისწინა გენერალურ რეპეტიციად შერაცხული თამაშის მეორე ნახევარში სტუმრებმა გაფლანგეს შესვენებამდე მიღწეული ხუთქულიანი უპირატესობა (18:13) და სამი გარდასახული ლელო და ერთი არეკნი გაუშვეს ოთაგოს წინააღმდეგ, რომელიც „ოლ ბლექსის“ მცველი თიმუ და სამოელყოფილი ს. ბეჩოფიც თამაშობდნენ. გარდა ამისა, დაშავდა სამი „ლომი“: ბეიფილდი, ქარლინგი და ზ. ჰესთინგსი. ამ უკანასკნელმა ისე იტკინა ყვრიმალი, რომ შინ გასაგზავნი შეიქნა.

ტრავმებით დაცხრილულმა „ლომებმა“, როგორც იყო, ძაღლწეს პირველ ტესტამდე. სატესტო შემადგენლობაში გადასაწყვეტი იყო შუამარბთა, ნახევარმცველთა და მარჯვენა ბურჯის საკითხები. შუამარბთა არჩევნები ტრავმებმა გააუქმა, 10 ნომრის შერჩევისას კი „ლომების“ ხელმძღვანელობამ საიმედო, მაგრამ შედარებით ერთფეროვანი ენდრიუ ამჯობინა გამოუცხობ, მაგრამ თავქეფა ბარნსს. საბოლოოდ „ლომებმა“ 15 კაცი ასე აირჩიეს: 1. ფოფლველი, 2. მილნი, 3. ბერნელი; 4. რიიდი, 5. ბეიფილდი; 6. ბ. ქლარქი, 7. ვინთერბოთომი, 8. რიჩარდსი; 9. მორისი, 10. ენდრიუ; 11. რ. ანდერვუდი, 12. გასქოთი, 13. ქარლინგი, 14. ი. ევანსი; 15. გ. ჰესთინგსი. რაც შეეხება კიდიდან მოწოდებული ბერთის უმთავრეს მომგებს — დულის, მას მამა გარდაეცალა და შინ გაემგზავრა.

ახალ ზელანდიელებმა პირველი ტესტისთვის ასეთი გუნდი შეკრიბეს: 1. ბრაუნი, 2. ფიიოსფათრიქი, 3. დაუდი; 4. ი. ჯოუნზი, 5. რ. ბრუქი; 6. ჯოზეფი, 7. მ. ჯოუნზი, 8. ზ. ბრუქი; 9. სთრონი, 10. ფოქსი; 11. თეიგამალა, 12. ბანსი, 13. ლითლი, 14. ე. ქლარქი; 15. თიმუ. ცოტა მოულოდნელი იყო მარჯვენა გარემარბად ქლარქის არჩევა და ქერვინის დაწუნება, რომელიც ერთი კვირით ადრე დაბრუნებულიყო იტალიიდან, სადაც იქაურ კლუბებში უკვე მრავალი წელია თამაშობს სხვა საბრძოლო ნახევარსფეროელი ვარსკვლავების მხარდამხარ.

პირველი ტესტი ქენთერბერის ბინაზე, ქრაისთჩერჩის „ლენსანთან ფარეზე“ გაიმართა. ქროდა ქარი და თამაშიც სარაგბო კლასიკას ვერ განეკუთვნებოდა. მიუხედავად ამისა, თავიდან ბოლომდე ხელსართული ბრძოლა მიმდინარეობდა და კაცი ვერ იტყოდა, ვინ გაიმარჯვებდა.

მასპინძლები თავიდანვე დაწინაურდნენ. დერეფანში გამართული მოლის შემდეგ ფიოსფათრიქმა შეუტა, ფოქსმა აბრაგანი დაარტყა, ევანსმა საკუთარ კარის ბაზთან ბერთი ვერ დაიჭირა და ბანსმა ლელო გაიტანა 5:0. ამის შემდეგ გაიმართა დამრტყმელთა შეჯიბრი: ჰესთინგსმა 6 საჯარიმო შეაგდო, რაც „ლომების“ სატესტო რეკორდია, ფოქსმა — 5 საჯარიმო. დაწინაურებული გუნდის ვინაობაც ექვსჯერ შეიცვალა. „ლომები“ იყებდნენ 6:5, მერე 6:8 აგებდნენ; მერე იყო 9:8, 9:11 (პირველი ნახევრის შემდეგ),... 15:17, 18:17 (70-ე წუთზე) და ბოლოს 18:20 (78-ე წუთზე), რიგა ავსტრალიელმა მსაჯმა ქინნმ რიჩარდსი წოლელა თამაშისთვის დაჯარიმა. ასეა თუ ისე, „ოლ ბლექსმა“ ჯაბირ-ჯაბირ მოიგო პირველი ტესტი და სერიაში 1-0 დაწინაურდა.

შემცარი შემოტრიალება

მეორე ტესტამდე „ლომებს“ თამაშთა თამაში — ძლევამოსილ ოქლენდთან შეხვედრაც ელოდათ. მართალია, ქვეყნის შარშანდელ ჩემპიონატში ოქლენდმა მზოლოდ მესამე ადგილი დაიკავა და წელს მაინცა სამხრეთ ნახევარსფეროს პროვინციათა შეჯიბრების ფინალშიც ჯაგო სამხრეთა აფრიკის ტრანსვალთან 17:20, მაგრამ 1981 წლიდან მოყოლებული, სამხრეთ აფრიკასთან შეხვედრის შემდეგ აღარ წაუგია ახალ ზელანდიაში სტუმრად მყოფ ნაკრებ გუნდებთან. პირველ ტესტში „ლომების“ მძლეველ „ოლ ბლექსშიც“ რვა ოქლენდელი თამაშობდა.

„ლომებმა“ წაგებულ ტესტთან შედარებით ოქლენდის წინააღმდეგ ოთხი კაცი შეცვალეს, მათ შორის — სამი შოტლანდიელი. პირველი შემადგენლობიდან დაითხოვეს ქარლინგი, მილნი, ბერნელი და რიიდი, მათ ნაცვლად კი გიბსი, მური, ლენარდი და ჯონსონი დაწინაურეს. ამ დროსვე დაემთხვა ერთი უსიამოვნებაც: მგლოვიარე დულემ მოისურვა ტურნეზე დაბრუნება, რაზეც ახალზელანდიელები ხალისით დაყბედნენ. მაშინ ბრიტანული რაგბის მამებმა გამოიდეს თავი, „ასე როგორ შეიძლება, ამით ხომ ტურნეს წესები დაირღვევაო“ და დულის უარი სტკიცეს. არადა, ახალზელანდიელებს იმდენად სურდათ მეტოქეს დიდი ძალა შემატებოდა და ღირსეულად ეთამაშა, რომ თავიანთი ხარჯით აპირებდნენ დიდი მოთაშაშის ხელახლა ჩამოყვანას.

„ლომებისა“ და ოქლენდის თამაშში ოავი ისევ ფოქსმა გამოიჩინა. „ლომებმა“ ნახევარი თამაში მოიგეს 13:11, მაგრამ გ. ჰესთინგსი დაუშვადათ და შეხვედრების შემდეგ ბერთი და მოედანი ფოქსს დარჩა. რაც შეეხება ოქლენდის მიერ გატანილ ლელოს, ის ახალგაზრდა შუამარბის — სოენსნსის დამახასიათებელი ქერვინის ანგარიშზეა.

ოქლენდთან თამაშმა „ლომების“ დელეგაცია საბოლოოდ გამიჯნა ორ — სატესტო და შუა კვირის შემადგენლობად. შუა კვირის გუნდმა ამის შემდეგ თავი ვეღარფრით გამოიჩინა და ორივე შეხვედრა წაგო. რაც შეეხება სატესტო გუნდს, მან ორივე დარჩენილი ტესტი შეუცვლელად გაბართა. მის შემადგენლობაში 11 ინგლისელი, 2 უელსელი და თითო, შოტლანდიელი და ირლანდიელი თამაშობდნენ.

"ოლ ბლექსის“ მწვრთნელი ლ. მეინნი, ეტყობა, უკმაყოფილო დარჩა თავისი გუნდის თამაშით ქრაისთჩერჩში და მეორე ტესტისთვის სამი მოთამაშე შეცვალა: დაითხოვა სორონი და ი. ჯოუნზი, ხოლო ლითლი ტრავმის გამო გამოაკლდა გუნდს. დათხოვნილები ფრესთონმა და ქუქსლიმ შეცვალეს, ქლარქი შუამარბად გადმოიყვანეს, ქერვინი კი გარემარბად დააყენეს. მაგრამ გაიმართა მეორე ტესტი და მისი შედეგი თავზარდაცემი გამოდგა მასპინძლებისთვის: მართალია, ველინგთონში, "ესლეთიქ ფარეზე“ თამაშის დაწყებისთანავე ჰესთინგსმა, ვისაც მზე უჭყიტნებდა, ჯერ დაიჭირა ფოქსის აბრაგანი და ე. ქლარქს ლელო აჩუქა, მაგრამ ეს იყო და ეს. „ლომები“ გადაირივნენ, მეტოქეს დერეფანშიც აჯობეს და ღია თამაშშიც, რასაც გასქოთის მახვრის შემდეგ რ. ანდერვუდის მიერ გატანილი ლელო, ჰესთინგსის ოთხი საჯარიმო და ენდრიუს არეკნი მოპყვა. ბრიტანელებმა მანამდე არნახული სხვაობით — 13 ქულით დაამარცხეს „ოლ ბლექსი“ და სერია გააყიმეს 1-1.

„ოლ ბლექსი“ რის „ოლ ბლექსი“ იძახებოდა...

დადგა ოქლენდის „იდენ ფარეზე“ გადამწყვეტი ტესტის დღე და „ოლ ბლექსიც“ გარდაიხსნა. თუ „ლომები“ უცვლელნი იყვნენ, მასპინძლებმა ქლარქის, ქუქსლისა და ზ. ბრუქის ნაცვლად სთენსნენი, ი. ჯოუნზი და ფენე გამოიყვანეს. სთენსნენმაცა და ფენემაც გაამართლეს. მართალია, თამაშის პირველ მეოთხედში ჰესთინგსის საჯარიმოსა და გიბსის უცაბედი ლელოს წყალობით „ლომები“ 10:0 დაწინაურდნენ, მაგრამ 27-ე წუთზე სთენსნენმა ოსტატურად გაგორა ბერთი და ბანსს ლელო გაატანინ, 32-ე წუთზე კი თიმუს გარღვევა კაპიტანმა ფოთოარიქმა ლელოით დაგვირგვინა. ფოქსმა გარდასახა ორივე ლელო 14:10, ისევე როგორც მეორე ნახევარში ფრესთონის მესამე ლელო და სამი საჯარიმო, რასაც ჰესთინგსმა ერთი საჯარიმოთი ეა უპასუხა. „ოლ ბლექსმა“ მოიგო ეს თამაშიც 30:13 და ტესტ-სერიაც 2-1. არადა, ათი წლის წინ, 1983 წელს, „ლომებმა“ ახალ ზელანდიაში წინა სტუმრობისას სერია 0-4 წაგეს. როგორც ჩანს, დრონი იცვლნენ!

ზაალ გიგინეიშვილი

„ოლ ბლექსი“

ახალი ზელანდიის მორაგბეთა ეროვნული ნაკრები, მსოფლიოს პირველი ჩემპიონი (1987), მსოფლიოს რაგბის ერთი ბუმბერაზთაგანი. გუნდს სახელი შეერქვა 1905 წელს, დიდ ბრიტანეთში მოგზაურობის დროს, როდესაც ერთ-ერთმა იქაურმა გაზეთმა სტამბის მუშაკთა უგულისყურობის გამო სტუმართა გუნდს უძღვნა სტატია სათაურით All Blacks, ნაცვლად All Backs-ისა, რაც სტატიის ავტორის ნანაფიქრით დაცვაში ახალზელანდიელთა განაფული თამაშის მიმანიშნებელი უნდა ყოფილიყო — აქაო და ყველანი (All) მცველებივით (Backs) ირბეკენინო. ასეა თუ ისე, გუნდს სახელი შერჩა და კარგადაც მოერგო, ვინაიდან 1901 წლიდან ერთიანად შავი (Black) ტანსაცმლით — კვართით, ნიფხვითა და პაჭიჭებით ასპარეზობს.

„ბრიტანელი ლომები“



ოთხი ბრიტანული ქვეყნის — ინგლისის, შოტლანდიის, სრულიად ირლანდიისა და უელსის მორაგბეთა ნაკრები, რომელიც ათწლეულში ერთი-ორჯერ იკრიბება სამხრეთ ნახევარსფეროს „სარაგბო ქვეყნებში“ — სამხრეთ აფრიკაში, ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში სამოგზაუროდ.

გუნდს „ბრიტანელი ლომები“ (British Lions) 1924 წელს ეწოდა სამხრეთ აფრიკაში გამგზავრების წინ. მიზეზი ის იყო, რომ დელეგაციის საშეჯლისო ტანისამოსის უმნიშვნელოვანეს დეტალს ლომებიანი პალსტუხები შეადგენდა. დღესდღეობით „ლომებს“ წითელი კვართები, თეთრი ნიფხვები და მწვანე არშიიანი ლურჯი პაჭიჭები მოსავთ — წითელი, თეთრი, მწვანე და ლურჯი ხომ შესაბამისად უელსის, ინგლისის, ირლანდიისა და შოტლანდიის ფერებია.

ლაყე „ლომები“

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან მოყოლებული წლევანდლამდე „ლომები“ 12-ჯერ შეიკრიბნენ. ექვსჯერ — 1950, 1959, 1966, 1971, 1977 და 1983 წლებში ისინი ახალ ზელანდიას ეწვივნენ, ხუთჯერ — 1955, 1962, 1968, 1974 და 1980 წლებში — სამხრეთ აფრიკას, ოთხჯერაც — ავსტრალიას: 1950, 1959 და 1966 წლებში ახალი ზელანდიის პარალელურად, 1989 წელს კი — დამოუკიდებლად. ამ 12 ტურნეზე „ლომებმა“ 53 ტესტი გამართეს: 18 მოიგეს, 30 წაგეს, 5 კი ფრედ დამთავრდა. ცალკეულ მეტოქეებთან „ლომებს“ ასეთი ბალანსი აქვთ:

	თ	მ	ფ	წ
ახალი ზელანდია	24	4	2	18
სამხრეთი აფრიკა	20	6	3	11
ავსტრალია	9	8	0	1

„ლომებმა“ ავსტრალიას ტესტ-სერია ოთხჯერვე მოუგეს — ბოლოს 2-1 (12:30, 19:12, 19:18). სამაგიეროდ, მხლოდ თითოჯერ აჯობეს ახალ ზელანდიას (1971 წელს) და სამხრეთ აფრიკას (1974 წელს), შესაბამისად 2-1 (1 ფრე) და 3-0 (1 ფრე).

გაბატონებული კელტები

ზემოთხსენებული 12-ე ტურნეს მანძილზე ბრიტანეთის ნაკრებში კელტები ბატონობდნენ: მოთამაშეთა უმრავლესობა უელსელი იყო, კაპიტნები და ხელმძღვანელები კი უპირატესად ირლანდიელები ან შოტლანდიელები იყვნენ. ერთადერთი ინგლისელი კაპიტანი 1980 წელზე მოდის:

	მოთ	კაპ	მენ	მწვ
უელსი	140	2	2	4
ინგლისი	96	1	3	1
ირლანდია	86	6	4	4
შოტლანდია	75	3	3	3

(„მოთ“ — მოთამაშე, „კაპ“ — კაპიტანი, „მენ“ — მენეჯერი, „მწვ“ — მწვრთნელი)

1993 წლის „ლომების“ ბეჭი

	თარიღი				„ლომები“					მეტოქე				
I	შაბ	22	V	30	4ლ	2გ	2ს			ჩრდ. ოქლენდი	17	3ლ	3გ	
II	ოთხ	26	V	29	4�es		3ს			ჩრდ. ნავსაყუდელი	13		3გ	2ს
III	შაბ	29	V	24	3ind	3გ	ს			მაორები	20	2ind	2გ	2ს
IV	ოთხ	2	VI	28	4ind	3გ	ს	ა		ქენთერბერი	10	2ind		
V	შაბ	5	VI	24	2ind	3გ	4ს			ოთაგო	37	5ind	3გ	ს	ა
VI	სამ	8	VI	34	3ind	2გ	4ს	ა		საუსლენდი	16	2ind		2ს
VII	შაბ	12	VI	18			6ს			„ოლ ბლექსი“	20			5ს
VIII	ოთხ	16	VI	49	7ind					თარანაკი	25	3ind		
IX	შაბ	19	VI	18	2ind	3გ	2ს			ოქლენდი	23			6ს
X	სამ	22	VI	17			3ს	ა		პოქეს ყურე	29	3ind	3გ	3ს	ა
XI	შაბ	26	VI	20			4ს	ა		„ოლ ბლექსი“	7		3ind	
XII	სამ	29	VI	10		3გ	ს			ვაიკათო	38	5ind	2გ	3ს
XIII	შაბ	3	VII	13		3გ	2ს			„ოლ ბლექსი“	30	3ind	3გ	3ს

სულ: 13 თამაში; 7 მოგება, 6 წაგება; ბურთები 314-285, ლელოები 33-32

ტესტ-სერია: 1-2, ბურთები 51-57, ლელოები 2-5

ტურნეს ვინანილები

მენეჯერი — ქუქი (ინგ)
მწვრთნელი — მაკგიკანი (შოტ)
კაპიტანი — გ. ჰესთინგსი (შოტ)

უპალნ ხაზი: მცველები (15): გ. ჰესთინგსი (შოტ) (ლ, 9გ, 2ს), — 101 ქულა), ქლემენთი (უელ) (2ლ, გ); გარემარბები (14, 11): ევანსი (უელ) (4ლ), რ. ანდერვუდი (ინგ) (3ლ), თ. ანდერვუდი (ინგ) (2ლ), ჰანთერი (ინგ), * ვოლისი (ირლ) (ლ); შუამარბები (13, 12): გიბსი (უელ) (2ლ), გასქოთი (ინგ) (2ლ), ქარლინგი (ინგ) (ლ, ა), * ს. ჰესთინგსი (შოტ) (ლ), * ქანინგემი (ირლ) (2ლ); გარე ნახევარმცველები (10): ენდრიუ (ინგ) (2ლ, გ, 2ს, 2ა — 24 ქულა), ბარნსი (ინგ) (33 ქულა); შერკინების ნახევარმცველები (9): * არმსთრონგი (შოტ), მორისი (ინგ), * ჯოუნზი (უელ) (ლ)

მორკინალები: ბურჯები (1, 3): ფოფლველი (ირლ), ბეარდმანი (შოტ), რაითი (შოტ), ლენარდი (ინგ); კვაჭები (2): მური (ინგ), ქ. მილნი (შოტ); მიმწოლელები (4, 5): * დული (ინგ), ბეიფილდი (ინგ), ქრონინი (შოტ) (ლ), რიიდი (შოტ) (ლ), * ჯონსონი (ინგ); ფრთები (6, 7): თიეგი (ინგ) (ლ), გოლვეი (ირლ) (ლ), ვინთერბოთომი (ინგ), ვეუსდეი (უელ) (2ლ); შემკვრელები (8): რიჩარდსი (ინგ) (ლ), ლეარმა (ინგ)

გარდა ამისა, „ლომებს“ გატანილად ჩაეთვალათ 2 საჯარიმო ლელო.

* ტურნეზე გამოაკლდა; * შემცვლელად ჩავიდა.

„უილიამსს“ ვეღარავინ დაეწევა



„ფორმულა“ ალტერნატივის წინაშე

ფორმულა-1 ავტორბოლაში მსოფლიოს ჩემპიონატები მთელი დედამიწის ზურგზე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული შეჯიბრებაა. ამ ცხრათვიანი მარათონის ყოველ ეტაპს 100000-ზე მეტი მაყურებელი ყავს, ტელევიზორების წინ მოკალათებულ აუდიტორიას ხომ ვერავინ დათვლის. ერთი სიტყვით, 750-ცხენისძალიანი, ლამის თვითმფრინავის სიჩქარის მქონე ბოლიდების ჰიდილს გულშემატკივართა დასწრების მხრივ მხოლოდ ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატები და ოლიმპიური თამაშები თუ ჯობნის.

თვითმხილველთა სიტყვებით, რასაც ტელეეკრანიდან მიღებული წარუშლელი შთაბეჭდილებაც ემატება, ათასგვარად გაფერადებული „ურჩხულების“ ბრძოლა, მართლაც საოცარი სანახაობაა. ერთი კია, პირველობისთვის გააფთრებული კონკურენციის შედეგად ზოგიერთი გუნდი სპონსორთა მრავალმილიონიანი სუბსიდიების წყალობით ტექნიკურად ისე დაწინაურდა, რომ დანარჩენებს, შედარებით ხელმოკლეებს, გამარჯვების არავითარი შანსი აღარ დაუტოვა. მაგალითად, წლევანდელი ჩემპიონატის მონაწილე 14 გუნდიდან მხოლოდ ორი, ყველაზე „ჯანიანი“ ახერხებს წარმატების მოპოვებას — დღემდე ჩატარებული ათი რბოლიდან შვიდი „უილიამსმა“ მოიგო, სამიც — „მაკლარენმა“.

ალენ პროსტი

როგორც მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა, ლეგენდარულმა ჯეკი სტიუარტმა აღნიშნა, წინათ გამარჯვება 80 პროცენტით მძღოლის ოსტატობაზე იყო დამოკიდებული და დანარჩენი მანქანაზეო. ახლა კი, ბოლიდები ისეა ავტომატიკითა და ელექტრონიკით გაჭყეპილი, რომ პირიქით მოხდა — პილოტის როლი შემცირდა 20 პროცენტამდე.

სწორედ ამიტომ, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია ყოველმხრივ ცდილობს შეზღუდოს ან სულაც აკრძალოს ელექტრონიკის დარგში უახლესი მიღწევების გამოყენება, რაც ნაკლებად შეძლებული გუნდებისთვის მიუწვდომელია. პირველ რიგში ლაპარაკია ბორბლების ამორტიზაციის აქტიურ სისტემაზე, რომელიც პილოტზე უკეთ „ფიქრობს“ და ტრასის ნებისმიერი მონაკვეთის გასავლელად მაქსიმალურად ოპტიმალურ რეჟიმს ირჩევს. მაგრამ, ეს ჭკვიანი, ულტრათანამედროვე მოწყობილობა ძალზე ძვირიც ღირს. იმდენად ძვირი, რომ ბევრ გუნდს თავის ბოლიდებზე მისი დამონტაჟების საშუალება არა აქვს.

თავისი აკრძალვით, ფედერაციას სურს გაათანაბროს მონაწილეთა შანსი და გაზარდოს ინტერესი ჩემპიონატისადმი. თორემ რა გამოდის, პირველობის ბოლომდე ჯერ კიდევ ექვსი რბოლაა დარჩენილი, გამარჯვებულები კი პრაქტიკულად უკვე ცნობილია როგორც კონსტრუქტორთა, ასევე პილოტების შეჯიბრებაშიც: „უილიამსს“ და ამ სუპერბოლიდით „მოჯირითე“ ფრანგ ალენ პროსტს ვეღარავინ გაუწევს კონკურენციას.

ფედერაციის სწრაფვა, რა თქმა უნდა, გასაგებია, მაგრამ ამ შემთხვევაში ის ხომ ტექნიკური პროგრესის წინააღმდეგი გამოდის და კონსტრუქტორებს ახლის ძიების სტიმულს უკარგავს. ვფიქრობ, ეს ზიანს უფრო მოუტანს „ფორმულას“.

მუდმივი რეკორდები?

შარშანდელი პირველობაც „უილიამსის“ სრული უპირატესობით აღინიშნა. ინგლისელი ნაიჯელ მენსელი, ჩემპიონობასთან ერთად, ორი უნიკალური რეკორდის ავტორიც გახდა — ერთ სეზონში 9 რბოლა მოიგო და ჯამში 108 ქულა დააგროვა.

მაგრამ, ეტყობა, ამ საოცარ მიღწევებსაც დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია — წლევანდელ პირველობაში პროსტმა უკვე შვიდ ეტაპზე იმარჯვა და 77 ქულა აქვს აქტივში. ასე რომ, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, „პროფესორმა“ შეიძლება გადააჭარბოს კიდეც ბრიტანელის მაჩვენებლებს. მანამდე კი, ფრანგი პილოტის გამარჯვება მეცხრე რბოლაში სილვერსტოუნის ჩქაროსნულ ტრასაზე მისი ბრწყინვალე სპორტული კარიერის მანძილზე 50-ე მოგებული „დიდი პრიზი“ იყო.

ყველაზე შედეგიან პილოტთა ათეული სადღეისოდ ასე გამოიყურება (ცხრილში თანმიმდევრულად მოცემულია მოგებულ ეტაპთა რაოდენობა, რბოლების საერთო რიცხვი და „ფორმულაში“ ასპარეზობის წლები):

ალენ პროსტი საფრანგეთი	51	193	1980-
აირტონ სენა ბრაზილია	39	152	84-
ნაიჯელ მენსელი დიდი ბრიტანეთი	30	181	80-92
ჯეკი სტიუარტი დიდი ბრიტანეთი	27	99	65-73
ჯიმ კლარკი დიდი ბრიტანეთი	25	72	60-68
ნიკი ლაუდა ავსტრია	25	171	71-85
ხუან მანუელ ფანხიო არგენტინა	24	51	50-57
ნელსონ პიკე ბრაზილია	23	205	78-91
სტირლინგ მოსი დიდი ბრიტანეთი	16	81	54-61
ჯეკ ბრაბჰემი ავსტრალია	14	126	59-70
ემერსონ ფიტიპალდი ბრაზილია	14	144	70-80
გრეჰემ ჰილი დიდი ბრიტანეთი	14	176	58-74

პროსტის ფანტასტიკური მაჩვენებელი, ალბათ, გაცილებით დღეგრძელი იქნება და შეიძლება სამუდამოც კი, რადგან უახლესი მდევრის, ბრაზილიელი აირტონ სენას ანგარიშზე ჯერჯერობით 39 „გრან პრია“. ასე რომ, პროსტს შეუძლია მშვიდად იყოს და ხანდახან რეკორდის გაუმჯობესებაზეც იფიქროს, რაც მან მშვენივრად გააკეთა ბოლო ეტაპზე, გერმანიაში, ჰოკენჰაიმის ავტოდრომზე.

გერმანიის „დიდი პრიზის“ გათამაშებისას კიდევ ერთი „სამუდამო“ რეკორდი დამყარდა. 39 წლის იტალიელი რიკარდო პატრეზესათვის „ფორმულაში“ მოღვაწეობის 17 წლის მანძილზე ეს რბოლა საიუბილეოც იყო — 250-ე.

რიკარდო პატრეზე

მეორე მაჩვენებელი ბრაზილიელ პილოტს, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს ნელსონ პიკეს აქვს, მაგრამ მან უკვე ორი წელია, რაც ფორმულა-1 მიატოვა. მოქმედ პილოტთაგან უკეთესია 38 წლის პროსტის შედეგი. უბრალო გამოთვლითაც ნათლად ჩანს, რომ იტალიელის გასასწრებად მას სულ ცოტა ოთხი წელი დასჭირდება. თანაც იმ შემთხვევაში, თუ თავად პატრეზე გაისად აღარ მიუჯდება საჭეს.

ჯერჯერობით საპატიო ვეტერანთა ათეულში შედიან (პირველი მაჩვენებელი — ჩატარებული რბოლების რაოდენობა, მეორე — „ფორმულაში“ ასპარეზობის წლები):

რიკარდო პატრეზე იტალია	250	1977-
ნელსონ პიკე ბრაზილია	205	78-91
ალენ პროსტი საფრანგეთი	193	80-
ანდრეა დე ჩეზარისი იტალია	191	80-
ნაიჯელ მენსელი დიდი ბრიტანეთი	181	80-92
გრეჰემ ჰილი დიდი ბრიტანეთი	176	58-74
ჟაკ ლეფიტი საფრანგეთი	176	74-86
მიკელე ალბორეტო იტალია	173	81-
ნიკი ლაუდა ავსტრია	171	71-85
ტერი ბუტსენი ბელგია	161	83-

აქ გასათვალისწინებელია, რომ 50-იან წლებში ავტოდრომების რაოდენობა მცირე იყო და შესაბამისად რბოლათა რაოდენობაც — დღევანდელზე გაცილებით ნაკლები. სწორედ ამ მიზეზით, ცხრილში ძველი თაობის თითქმის არცერთი წარმომადგენელი არაა.

ბოლოს, ორი სიტყვით, ლიდერის შესახებ. რიკარდო საშუალო დონის პილოტია, იგი არასდროს წყვეტდა ვარსკვლავებს. თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე მან მხოლოდ ექვსი რბოლის მოგება შესძლო და სულ სამჯერ იყო საპრიზო სამეულში. პატრეზეზე ამბობენ, კარგი მძღოლი - გამომცდელიაო და მეტი არაფერი. ალბათ, მისმა არაagresიულმა ბუნებამ გააძლებინა ამდენი ხანი საჭესთან. თუმცა, სამი შვილის მამა უკვე ფიქრობს კარიერის დამთავრებაზე.

გია ახალაძე



1	ალენ პროსტი საფრანგეთი	„უილიამსი“	10		4	10	10	3	10	10	10	10							77
2	აირტონ სენა ბრაზილია	„მაკლარენი“	6	10	10		6	10		3	2	3							50
3	მიხაელ შუმახერი გერმანია	„ბენეტონი“		4		6	4		6	4	6	6							36
4	დეიმონ ჰილი დიდი ბრიტანეთი	„უილიამსი“		6	6			6	4	6									28
5	რიკარდო პატრეზე იტალია	„ბენეტონი“			2		3				4	2							11
6	მარკ გლანდელი დიდი ბრიტანეთი	„ლიჟიე“	4	2								4							10
7	მარტინ ბრანდლი დიდი ბრიტანეთი	„ლიჟიე“				4		1	2	2									9
8	ჟან ალერეზი დიდი ბრიტანეთი	„ლოტუსი“		3	3						3								9
9	გერჰარდ ბერგერი ავსტრია	„ფერარი“	1				1		3			1							6
10	იუკი იარვი ლეპტო ფინეთი	„ზაუბერი“	2			3													5
10	კრისტიან ფიტიპალდი ბრაზილია	„მინარდი“	3					2											5

ევროპის ჩემპიონატი

შუაგულ ევროპაშიც ისვრიან

დღემდე პასტორალური სიმშვიდით ცნობილ ჩეხეთში ხვალ ისეთი ბათქაბუთქი ატყდება, ყარაბაღისა თუ ბოსნია-ჰერცეგოვინის ამბები ამასთან იქნებ მოგონილიც იყოს — ბრნოში მსროლელთა ევროპული ჩემპიონატი იწყება.

თუ ველოსპორტსა ან ცურვაში გამართულ შეჯიბრს უჩვენობა ვერაფერს დააკლებს, დამბაჩების ტრიალი, ბუნებრივია, უქართველებოდ ვერ ჩაივლის — ჩეხეთს ათი ქართველი მსროლელი მიემგზავრება.

საქართველოს დელეგაცია

სასტენდო სროლა
მწვრთნელი: ტარიელ ულენტი

თამაზ იმნაიშვილი, გივი შენგელია, დავით მანჯგალაძე — მრგვალი სტენდი. უვარჯიშებლობის გამო გუნდურ პირველობაში წარმატების მიღწევა ალბათ სათუო იქნება, იმნაიშვილის ჯამედად თუ ვიქნებით.

ტყვიის სროლა
მწვრთნელები: ვახტანგ სალუქვაძე, გივი ბოსტოლანაშვილი

ნინო სალუქვაძე, ნინო უჩაძე, მეგი ხუბულაშვილი — მცირეკალიბრიანი და პნევმატური დამბაჩა. სალუქვაძის რეპუტაცია, რა თქმა უნდა, უეჭველია. თვალი მის კოლეგებსაც დიდებულად უჭრით, თანაც, სროლისა და მშვილდოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის გივი ბოსტოლანაშვილის გადმოცემით, ყველანი კარგ ფორმაში ყოფილან — პირად და გუნდურ შეჯიბრებაშიც წარმატებას უნდა ველოდოთ.

ნინო სალუქვაძე

მამუკა ბოსტოლანაშვილი — პნევმატური დამბაჩა.
ილია ჩაგანავა — მეთოფე, მოძრავი სამიზნეები.

იუნიორები:
ნიკო გაბუნია — პნევმატური დამბაჩა.
დიანა ავეტისიანი — მეთოფე, ბრნოში სამ დისციპლინაში იასპარეზებს. ტყვიას ტყვიაში აჯენს, ოლონდ ესაა, სავსებით გამოუცდელია და თუ რამემ არ დასცადა, სირცხვილი არ უნდა გვაჭამოს.

თუ ტყვიის მსროლელებს დღევანდელი პირობების კვალობაზე არც თოფ-იარაღი მოკლებიათ და არც ტყვია-წამალი, მესტენდურები ჩეხეთის გზას სავსებით მოუმზადებელნი გაუდგნენ: საოცარია, მაგრამ როცა თბილისი და თითქმის მთელი ქვეყანა ლამის ერთ დიდ სასროლეთად იქცეს, მაინცდამაინც იავარქმნილი ვარკეთილის სასროლეთი დადუმებულა. უსახსრობის გამო ჩვენებს მოსკოვში დაგეგმილი ორი შეკრებაც ჩაშლიათ და თუ მრგვალ სტენდზე „მონადირეთა“ სამეული შეჯიბრზე მაინც გაემგზავრა, სავსებით უვარჯიშებელი სასანგრე სტენდის ცნობილი ოსტატი მაია გუბიევა თბილისში დარჩა.

მამუკა ჩიხლაძე

სარბიელი

და

ფირმა "CROCO"

ტოტალიზატორი

13 აგვისტოდან განახლდება ფსონების მიღება

შეგახსენებთ თამაშის წესებს:

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად ოთხი მატჩის შედეგის გამოცნობაზე, თქვენი პროგნოზის გამართლების შემთხვევაში მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს. (მაგალითად, თუ თქვენ ფსონი გაკეთეთ ერთდროულად ოთხ თამაშზე და ივარაუდეთ „ვერდერის", არგენტინის, ეკვადორისა და ბრაზილიის გამარჯვება, თქვენი ვარიანტის გამართლების შემთხვევაში მიიღება კოეფიციენტი 95,3 (3,7 X 1,8 X 5,3 X 2,7). ასეთ შემთხვევაში ყოველ დადებულ ათას მანეთზე მიიღებთ 95 300 მანეთს).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგება შეადგენს დადებული თანხის ოთხმაგ რაოდენობას.

ფსონის მინიმალური თანხაა 500 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.

ფსონების მიღება წყდება მატჩის დღეს 16 საათზე. მოგებები გაიცემა მატჩის მეორე დღესვე.

ფსონები მიიღება ეროვნული სტადიონის მეხუთე სალაროში და სასტუმრო „აჭარის" ფოიეში 13-დან 16 საათამდე.

უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

		1	X	2
14 აგვისტო	აინტრახტი — ვერდერი	1,8	1,8	3,7
	ლეგერკუზენი — ბაიერნი	2,2	2,7	1,8
15 აგვისტო	კოლუმბია — არგენტინა	4,4	1,7	1,8
	პარაგვაი — პერუ	1,5	2,2	3,7
	ბოლივია — ეკვადორი	1,2	3,1	5,3
	ურუგვაი — ბრაზილია	2,5	1,7	2,7

შედეგთა დაფა

მძლეოსნობა

30 VII. საერთაშორისო შეჯიბრება. გეითსპედი (ჩრდილოეთი ინგლისი). 100მ: 1. ლ. ქრისთი (დიდი ბრიტანეთი, ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონი) 10,08; 2. ჯ. დრამონდი (აშშ) 10,12; 3. ქ. ლუისი (აშშ, მსოფლიოს რეკორდსმენი — 9,86) 10,22; 200მ: 1. ლ. ბარელი (აშშ) 20.55 (პირქარში)

1 VIII. „დიდი პრიზი". კიოლნი (გერმანია). 100მ: 1. ე. ქეისონი (აშშ) 10,11; 2. ჯ. დრამონდი 10,13; 400მ: 1. ს. კიტური (კენია) 44,54; 3. ბ. რენოლდსი (აშშ, მსოფლიო რეკორდსმენი) 44,83; 1 500მ: 1. მ. სულეიმანი (ყატარი) 3.44,13; 3 000მ: რ. ჰ. ბიტოკი (კენია) 7.34,98, 2. მ. კიპტანუი (კენია) 7.35,79; 400მ თარჯრბენი: 1. ქ. იანგი (აშშ, ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონი) 47,75, 2. ს. მატეტე (ზამბია) 48,28

რაგბი

შაბათს, 31 ივლისს, გაიმართა ორი ტესტი:

ოქლენდი. მხოლო ტესტი. ახალი ზელანდია 35 (22) სამოა 13 (6). ახალი ზელანდია: 2ლ (სთენსენი, ზ. ბრუქი), 2გ (ფოქსი), 7ს (ფოქსი); სამოა: ლ (აიოლუპო), გ (ქელეთი), 2ს (ქელეთი)

სიდნეი. პირველი ტესტი. ავსტრალია 12 (9) სამხრეთი აფრიკა 12 (14). ავსტრალია: 4ს (რობაქი); სამხრეთი აფრიკა: 3ლ (მულერი, სმოლი-2), 2გ (ვან რენსბერგი)

ფრენაბურთი

კაცთა მსოფლიო ლიგის მეოთხე გათამაშება. რიო-დე-ჟანეირო. ნახევარფინალები: ბრაზილია (ოლიმპიური ჩემპიონი) — იტალია (მსოფლიო ლიგის სამგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონი) 3:0 (11,11,9), რუსეთი (ევროპის ჩემპიონი) — კუბა 3:1 (10,13,-12,10); ფინალი: ბრაზილია — რუსეთი 3:0 (2,13,9)

ჩოგბურთი

კანადის ღია ჩემპიონატი. მონრეალი. საპრიზო ფონდი: 1 650 000 დოლარი. ნახევარფინალები: თ. მარეინი (აშშ, განთესვის ნომერი 13) — რ. რენებერგი (აშშ) 6:3, 6:4, მ. პერნფორსი (შვედეთი) — პ. კორდა (ჩეხეთი, 6) 7:6, 7:5; ფინალი: პერნფორსი — მარეინი 2:6, 6:2, 7:5. 30 წლის მიქაელ პერნფორსმა ბოლო ხუთ წელში პირველი ტურნირი მოიგო. პ. სამპრასმა (აშშ, 1) წააგო ბ. სთივენთან (ახალი ზელანდია) 6:7, 3:6, ჯ. კურიერ (აშშ, 2) — პერნფორსთან 2:6, 3:6, ბ. ბეკერმა (გერმანია, 3) — მარეინთან 5:7, 6:7, ი. ლენდლმა (აშშ, 4) — კორდასთან 6:7, 1:6

პოლანდიის ღია ჩემპიონატი. პილვერსუმი. საპრიზო ფონდი: 260 000 დოლარი. ნახევარფინალები: ჯ. კოსტა (ესპანეთი) — ა. ჩერკასოვი (რუსეთი) 2-0, მ. გუსტაფსონი (შვედეთი) — ფ. კლავეტი (ესპანეთი) 2-1; ფინალი: კოსტა — გუსტაფსონი 6:1, 6:2, 6:3

ჭადრაკი

კაცთა მსოფლიო პირველობის საზონთაშორისო ტურნირი. ბილი (შვეიცარია). 13 ტური (შვეიცარული სისტემით). პრეტენდენტთა მატჩებში გავიდა 10 მონაწილე: I. ბორის გელფანდი (ბელორუსია) 9 ქულა; II-IX. პაულ ვან დერ სტეერენი (ჰოლანდია), გატა კამსკი (აშშ), ვლადიმირ კრამნიკი, ვალერი სალოვი და ალექსანდრე ხალიფმანი (რუსეთი), მაიქლ ადამსი (ინგლისი), ჯოელ ლოტიე (საფრანგეთი), ლეონიდ იუდასინი (ისრაელი) 8,5; X. ვიშვანათანთ ანანდი (ინდოეთი) 8. ვერ გავიდნენ: XI - XV. ალექსეი შიროვი (ლატვია), ვლადიმირ ეპიშინი (რუსეთი), ივან სოკოლოვი (ბოსნია-ჰერცეგოვინა), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა), სუმბათ ლუტიანი (სომხეთი) 8 ქულა. 17 წლის იუდით პოლგარი (უნგრეთი) 7,5 ქულა

რეჯი ლუისის

აღზევება და სიკვდილი

ორი თვეა, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას (NBA) შავი დღეები უდგას — თითქოს დრაჟენ პეტროვიჩის სიკვდილი არ კმაროდა და ამერიკიდან კიდევ ერთი უსიამო ამბავი მოვიდა: 27 ივლისს მასაჩუსეთსის შტატის ქალაქ ვოლთჰემის საავადმყოფოში გულის შეტევამ მოკლა ასოციაციის ყველაზე სახელოვანი გუნდის, „ბოსთონ სელთიქსის" კაპიტანი, 27 წლის რეჯი ლუისი.

ლუისი „სელთიქსმა" 1987 წლის დრაფთში აირჩია 22-ე ნომრად. იგი მალე სასტარტო ხუთეულშიც მოხვდა, თუმცა დიდი მოთამაშის სახელი მხოლოდ 1991-92 სეზონში დაიგდო, როცა ლარი ბერდის ავადმყოფობისას გუნდის წინამძღოლობა ითავა. 1991 წლის 22 აპრილს „ფლეი-ოფის" პირველი წრის პირველსავე მატჩში „ინდიანა ფეისერზსთან" ლუისმა 36 ქულა მოაგროვა და „ფლეი-ოფის" სერიებში პირადი რეკორდი დაამყარა, მეორე წრის მესამე თამაშში „ქლივლენდ ქავალიერთან" იგივე შედეგი გაიმეორა და „ბოსთონის" მწვრთნელს, ქრის ფორდს ათქმევინა, არცთუ დიდი საშინელება ყოფილა უბერდობა, თუ გუნდში რეჯი ლუისი გყავსო.



1992-93 სეზონის წინ ლარი ბერდმა კალათბურთს თავი მიანება და თუმცა მისი ძველი „ამფსონები" რობერთ ფერიში და ქევინ მაჰჰეილი გუნდში დარჩნენ, „ბოსთონის" ლიდერები უკვე სხვა ხალხი იყო — დი ბრაუნი, ქსავიერ მაკდანიელი და რეჯი ლუისი. რეჯის საშუალო შედეგიანობამ, რომელიც ბოლო სამ სეზონში 18,8 ქულა იყო, 20 ქულას გადააჭარბა. „სელთიქსმა" აღმოსავლეთის კონფერენციაში მეოთხე ადგილი დაიკავა და „ფლეი ოფის" პირველ წრეში ვერც „შარლოთ ჰორნეთსი" და ვერც მისი ახალგაზრდა ვარსკლავები, ლარი ჯონსონი და ალონსო მურნინგი შეაკრთობდა, მით უფრო, რომ ბოლო მატჩში საკუთარი მოედნის უპირატესობაც „ბოსთონის" მხარეზე იყო, მაგრამ 1993 წლის 2 მაისის პირველივე თამაში ლუისისა და მისი გუნდისთვისაც საბედისწერო გამოდგა. „ბოსტონმა" შინ მოიგო 112:101, მაგრამ რეჯიმ 17 ქულის მოპოვებაღა მოასწრო, მოედახზე გული შეეწუხდა და ჰოსპიტალში აღმოჩნდა. მეხუთე მატჩის ჩატარება საჭირო აღარ შეიქნა — „სელთიქსმა" მომდევნო სამი წააგო და ტურნირს გამეთიშა, ის თამაში კი ლუისისთვის ბოლო გამოდგა.

თორმეტქიმიანმა კონსილიუმმა რეჯი ლუისს თამაშისთვის თავის მინებება მოსთხოვა, მაგრამ მალე ვიღაც თავზეხელაღებულმა კარდიოლოგმა შეაგულიანა, ნამდვილი ათლეთის გული გაქვსო, და ლუისიც ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა. 27 ივლისს მან მასაჩუსეთსის უნივერსიტეტის დარბაზში დააპირა წავარჯიშება, მაგრამ უეცრად სუნთქვა შეეკრა და დავარდა. იქვე მყოფმა ექთანმა ხელოვნური სუნქვა ჩაუტარა და სასწრაფო დახმარების მანქანასაც არ დაუგვიანია, მაგრამ რეჯიმ საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ ერთი საათიც ვერ იცოცხლა.

იმის ნათელსაყოფად, თუ ვინ დაკარგა „ბოსთონ სელთიქსმა", ერთ ფაქტს მოვიშველიებთ: 1992-93 სეზონის წინ ჟურნალმა Dick Vitale's Basketball ამერიკის საკალათბურთო ექსპერტებს ასოციაციის 50 საუკეთესო მოთამაშე დაასახელებინა. „პატარა ფორვარდის" (small forward) ამპლუაში რეჯი ლუისი მეშვიდე ადგილზე გავიდა ჩარლზ ბარქლის, სქოთი ფიფენის, ჭრის მულინის, ჯეიმზ ვორსის, დომინიქ ვილქინსის და დანი მანინგის შემდეგ!

ჩინელი კომუნისტის გულის ვარამი

დიდი პოლიტიკა კვლავ ერევა დიდ სპორტში. ახლახანს აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მოუწოდა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს (სოკ), რომ 2000 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა არ დააკისროს ჩინეთის დედაქალაქ პეკინს. ამერიკელ პოლიტიკანთა აზრით, ჩინეთში უხეშად ილახება ადამიანის უფლებები, რის დასტურადაც ტიბეტის შევიწროება და რელიგიური შეუწყნარებლობაც ივარგებსო. ამერიკელთა ბრალდების საპასუხოდ ოლიმპიადის მასპინძლობის მსურველი კომიტეტის თავმჯდომარემ, რომელიც იმავდროულად ჩინეთის კომპარტიის პეკინის ქალაქკომის პირველი მდივანიც არის და ვინაც 1989 წელს ლომის წილი დაიდო ტიანანმენის მოედანზე დემოკრატიის მომხრეთა დემონსტრაციების დარბევაში, განაცხადა, რომ თუ ეხლა ვერ ვეწევით საწადელს, მერე კიდევ ვცდით ბედსო. რაც შეეხება ჩინეთის ოლიმპიურ კომიტეტს, მან, რაღა თქმა უნდა, დაგმო წარმომადგენელთა პალატის პოზიცია და იგი ცალკეულ მოღვაწეთა ახირებას მიაწერა.

სოკ-ი 2000 წლის ოლიმპიადის მასპინძლის ვინაობას სულ მალე, 23 სექტემბერს გამოაცხადებს. პეკინის მოცილეები სიდნეი, სტამბოლი, ბერლინი, მანჩესთერი და ბრაზილია არიან.

აქეთური, იქითური

გაიყიდა ატლანტის 1996 წლის ოლიმპიადის ტელეტრანსლაციების უფლებები. ამერიკაში მას დაეუფლა NBC, რომელმაც საამისოდ 456 მილიონი დოლარი გაიღო სოკ-ის წარმომადგენლებთან ნიუ-იორქში გამართულ შეხვედრაზე. ევროპაში ოლიმპიადის ჩვენების უფლება EBU-ს ერგო, რომელმაც 250 მილიონი გადაიხადა. სხვათა შორის, NBC-მ ბარსელონის ოლიმპიადის გაშუქებისას 100 მილიონი დოლარის ზარალი ნახა, მაგრამ ამჯერადაც უერთგულა დიდ სპორტს.

*

უძლიერესი ფრანგი ჩოგბურთელი ქალი მარი პირსი მამამისს — ჯიმ პირსს სასამართლოში უჩივის და ითხოვს, რომ მას შვილის თამაშებზე დასწრება აუკრძალონ. საქმე ის არის, რომ მსოფლიო კლასიფიკაციაში მე-14 ადგილზე მყოფი ჩოგბურთელი ორი კვირის წინ დაეუბრა მამას, რომელიც მანამდე მისივე მწვრთნელი იყო და რომელმაც წლევანდელ საფრანგეთის ღია ჩემპიონატში დიდი აყალმაყალიც მოაწყო, რაც იმით დასრულდა, რომ ათმა ზორბა ჩაფარმა ძლივსძლივობით მოახერხა გაშმაგებული ჯიმის დაშოშმინება.

*

110 მეტრზე თარჯრბენში ოლიმპიური ჩემპიონი, კანადელი მარკ მაქმოი გამოაკლდა შტუტგარტის მსოფლიოს ჩემპიონატს. მაქმოი უარობს უცხოეთიდან შინ დაბრუნებას და შესარჩევ შეჯიბრებაში მონაწილეობას, რადგანაც ეს შეჯიბრება, მისი აზრით, უდროოდ არის დანიშნული; ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის გარეშე კი კანადური მძლეოსნობის მამები შტუტგარტში გასაგზავნ გუნდში არავის ჩარიცხავენ.

*

ექს-გუდაუთელმა მხედარმა ხარლამ სიმონიამ წარმატებით იასპარეზა რუსეთის ღია ჩემპიონატში, რომელიც ბიტცის ტყე-პარკში გაიმართა. 140 სანტიმეტრი სიმაღლის წინაღობებიან კონკურში მან ცხენ „აფონინთ" პირველი ადგილი დაიკავა, მეორე ცხენით — „ბრუსნიჩნინთ" კი მესამე. შეჯიბრებაში ევროპის „ვოლვოს თასის" ორი საგზური თამაშდებოდა.

*

გამოცხადდა 24-26 სექტემბერს გასამართი დევისის თასის გათამაშების ნახევარფინალების ჩატარების ადგილები. ინდოეთი ავსტრალიას ჩანდიგარხის ბილახის მოედნებზე უმასპინძლებს, შვედეთი გერმანიას კი ბურლენგაში, დარბაზში საგანგებოდ მოწყობილ მიწიან კორტზე ეთამაშება.

*

თხუთმეტკაციან რაგბში, ცამეტკაციანისგან განსხვავებით, დოპინგის გამოყენებაში მხილება იშვიათობაა. ახლახანს „ჩავარდა" ჩრდილოეთ ტრანსვაალის კვაჭი, 25 წლის ანდრეას ტრუსკოტი, რომელსაც დოპინგის კვალი აღმოუჩინეს მაისში, სამხრეთ ნახევარსფეროს პროვინციათა შეჯიბრების — Super Ten („ზე-ათის") პროგრამით ახალი ზელანდიის ჩრდილოეთ ნავსაყუდელთან თამაშის შემდეგ. რაკიღა დანაშაული ახალ ზელანდიაში მოხდა, მასპინძლებმა ტრუსკოტს საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად ორწლიანი დისკვალიფიკაცია დაუდგინეს, მაგრამ დამნაშავეცა და სამხრეთაფრიკული რაგბის მამებიც ზელანდიელთა განაჩენს არ სცნობენ და სასამართლოში აპელაციის შეტანას ეშურებიან. სამხრეთაფრიკული წესებით დოპინგის ხმარებისთვის მხოლოდ სამთვიანი სასჯელია დაწესებული.

*

კრიკეტში დიდი რეზონანსი მოჰყვება ხოლმე ე.წ. ფერფლის სერიას — ტესტმატჩებს ინგლისსა და ავსტრალიას შორის. ავსტრალიელები ივლისში ინგლისს ჩავიდნენ და დღესაც აგრძელებენ ტურნეს, თუმცაღა „ფერფლის" ბედი უკვე გადაწყვეტილია, რაკიღა ოთხი ტესტის შემდეგ ავსტრალია 3-0 დაწინაურდა, სულ კი ექვსი ტესტი უნდა გაიმართოს. ინგლისელთა კაპიტანმა გრემ გუჩმა შერცხვენა ვერ აიტანა, სერიის დამთავრებას აღარ დაელოდა და გადადგა.

აქეთური, იქითური

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით და პარასკევობით

ინდექსი 66441

რედაქციის მისამართი:

თბილისი 77, ალ. ყაზბეგის 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში; ზოშარაულის 29

დამფუძნებელი:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა

„მარდი"

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

სარედაქციო კოლეგია: ბია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)